№ 2810
სამშაბათი,
3 მაისი

ცნობის ფურცელი

№ 2810
სამშაბათი,
3 მაისი

გაზეთი ღირს: წელიწადში—6მ. „თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით. პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და ამხ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზედ უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 37.

ყოველ-დღიური გაზეთი „ცნობის ფურცელი“ ადგილობრივ და გაგზავნით ღირს: 1 წლით 6 მან., 11 თვით 5 მან. 75 კაპ. 10 თვით 5 მან. 20 კაპ., 9 თვით 5 მ., 8 თვით 4 მ. 50 კაპ., 7 თვით 4 მან. 6 თვით 3 მ. 50 კ., 5 თვით 3 მან., 4 თვით 2 მ. 60 კ., 3 თვით 2 მან., 2 თვით 1 მ. 50 კ. ხელის მოწერა მიიღება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან. გაზეთის გაწერა ერთ თვეზე ნაკლებ არ შეიძლება და არა მეტი წლის ბოლომდის.

ხელის მომწერთ, რომელთაცა ჰსურთ რაიმე ცნობა მიიღონ კანტორიდან ხელის მოწერის შესახებ ან ფულს გზავნიან რედაქციაში, ან ადრესს იცვლიან, „ცნობის-ფურცლის“ კანტორა უმორჩილესად სთხოვთ მათ **გამოუგზავნონ ბანდეროლი ან მოიწერონ ის ნომერი, რომელიც ადრესზეა დაბეჭდილი.**

როცა ვინმე იწერება ადრესის გამოცვლას, მასთანვე ძველი ადრესი და გამოსაცვლელი 40 კაპ. უნდა გამოუგზავნოს რედაქციას. ადრესის გამოსაცვლელი 40 კაპ. შეიძლება ფოსტის მარკებათ გამოგზავნოს.

ცალკე ნომერი გაზეთისა ყოველგან ღირს 3 **კაპ. სურათებიანის დამატებით—5 კაპ.**

სამშაბათს, 3 მაისს 11 საათზე ვერის წმ. ნიკოლოზის ეკკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის

თ. ნიკო ესტატეს ძე თარხან-მოურავისა,

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე—**სოფიო დავითის ასული თარხან-მოურავისა და და—მარიამ ესტატეს ასული თუხარელისა.** (1—201—1)

ორშაბათს, 9 მაისს, საარტისტო საზოგადოების თეატრში წარმოდგენილი იქნება
პირველად ქართულ ენაზე
სევილიელი დალაქი
ოპერა როსინისა, თარგმანი გუნიასი.

სეზონის უკანასკნელი ტანისამოსი
მოსდის ყოველ-კვირა
ძმ. აპოფჯანოვების და სარქისიანცის
შეკერილ ტანისამოსის პირველ კავკასიის ამხანაგობის საფაბრიკო დეპოს.
ნიკოლოზის ხიდი, №№ 25—30.
ვურჩევთ
ადგილობრივ და სხვა ქალაქიდან ჩამოსულ მყიდველებს ჩვენის და სხვის სახელოსნოებში ინგლისურ და ფრანგულ ჟურნალებზე დამზადებულ უკანასკნელ ფასონის ტანისამოსს, მანდილოსნის ზედა ტანისამოსს, კაცის და ბავშვის ტანისამოსს და ყოველგვარ პალტოს, რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფაბრიკებში დამზადებულს. ფასი ხელ-საყრელია.
შეუდარებლად. (0—14)

გარდაცვალებულის დესპინე საბას ასულის ჭილაიას ქმარი—ალექსი ქაიხოსროს ძე ჭილაია გულითად მადლობას უძღვნის პატივცემულ ქ. სოხუმის საზოგადოებას და ყველა მათ, ვინც პირადათ ან წერილებით ანუგეშეს მის მეუღლის დაკრძალვის დღეს. (1—ფ.—1)

თ. ნიკოლოზ (კოკი) ნიკოლოზის ძე დადიანი, ეკატერინე გრიგოლის ასული მიქელაძისა, ალექსანდრა მიხეილის ასული ჩხეიძისა და ბონდო მიხ. ძე მიქელაძე გულითად მადლობას უცხადებენ ყველა იმ პირთ, რომელთაც დეპეშით თუ პირად დასწრებით მონაწილეობა მიიღეს მათ მწუხარებაში—პირველის მეუღლის, მეორისა—შვილის და მესამეთა დის ძვირფასის

ნინო (ლაისო) მიხეილის

ასულის დადიანის უდროვოდ გარდაცვალებისა გამო. (1—ნ.—1)

იყიდება
ძლიერ იაფად: რკინის კრაოტები, სტოლები, ბუფეტის და ტანისამოსის შკაფები, შკაფი საქირურგო იარაღისათვის, სკამები, სკამები ვენის, მატრასები, ლეიბები მატყლის, ბალიშები, სავარძელი კბილის საექიმო და ავადმყოფის სატარებელი, საათი, ლამპები, საცვლები, ხალათები, ფეჩი თუჯისა ქვა-ნახშირისათვის, სარკე, ტანისამოსის ჩამოსაკიდებელი, მიკროსკოპი, სტერილიზატორი, სხვა და სხვა საქირურგო იარაღები, ტახტები, ელექტრონის მაშინები და მრავალი სხვა ოჯახისთვის სასარგებლო ავეჯეულობა. ველიკოკნიაჟსკის ქუჩა, მეცხრე სახლი კუკიის ხიდიდან.

დ. ყვირილა 15 მაისს, შუადღის 12 საათზე, თეატრის შენობაში დანიშნულია **ყვირილის სამარხ კასის წევრთა საზოგადო კრება.** განსახილველია 1) დამტკიცება წლიური ანგარიშისა; 2) მოხსენებანი გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა; 3) არჩევნები სარევიზიო კომისიისა, ერთის გამგეობის წევრისა და მათის ნაცვლებისა. (3—6.—1)

რესტორანი
„ფუნიკულერი“.
სადილი 4 ბლუდი 1 მან.
სადილი 1 მაისთვის 1 ს.—5 საათ.:
1. ბორში უკრევისა.
2. ახალი კარტოფილი ოგრაგუძლად.
3. ვარიები ფრანგულად.
4. შუა ალუ ვრემ.
და 5. ყავა.
პატრონი **ნ. ჩიკვაიძე.**

ჭიათურის საურთიერთო ნდობის ბანკის გამგეობა ამით უცხადებს, რომ რადგან 30 აპრილს არ შესდგა მორიგი კრება ამ ბანკის წევრთა, წესდების მე-§ 35 თანახმად, დაინიშნა მეორე კრება 20 მაისს ამა 1905 წლისა. განსახილველი საგნები იგივეა, რაც 30 აპრილის კრებისთვის იყო დანიშნული. (1—6.—1)

კბილის ექიმი
ე. ი. ბალარჯიშვილი
იღებს ავადმყოფებს 10—[illegible] მიხეილის ქუჩა № 115. გერმა[illegible] რდით.
(20—278—23)

იმერეთის სამღვდელოების
სანთლის საწყობი

ამით აცხადებს, რომ საჭიროა გამგე ამ საწყობისა. გამგედ უნდა იყოს უმრევლო მღვდელი, რომელსაც დაევალება: 1) საწყობში მზა-მზარეულ სანთლის მიღება და გაყიდვა, 2) წარმოება სანთლის საწყობთან არსებულ საეკკლესიო ნივთების საწყობისაც, თუ ის უკანასკნელი არ გადავიდა კერძო მოიჯარადრის ხელში, 3) ვაჭრობის წარმოება სხვა სავაჭრო დაწესებულებათა შემსგავსებით, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ის უნდა ვაჭრობდეს კვირა-უქმეებშიაც, დილით, რვა საათიდან თორმეტამდის, 3) სამსახური ამ სამწყსოში არა ნაკლებ ორი წლისა და 5) წარმოდგენა არა ნაკლებ ორი ათას მანეთად ღირებულ გირაოსი.

გამგეს მიეცემა წელიწადში შვიდასი (700) მანეთი და საეკკლესიო ნივთთა საწყობის წმიდა მოგებიდან ათი პროცენტი (10%). მსურველთ შეუძლიათ მიმართონ თხოვნით ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოზს. (10—6კ.—1).

ქუთაისის ქალთა პროგიმნაზია (მთავრობისა) ამით აცხადებს, რომ **მისაღები ეგზამენები** პირველ კლასში მოხდება 11, 12 და 13 მაისს; ხოლო მოსამზადებელ, მეორე და ახლად გახსნილ მესამე კლასში—16, 17, 18 და 19 მაისს. (3—6.—1)

ექიმი
პ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბათისა. კუთხე კირკის და დიდი მთავრის ქუჩებისა სახლი სვანიშვილისა № 11.

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
ბინა აქვს: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდისა (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდი.

ექიმი
გ. ი. ტერ-გრიგორიანცი
შინაგანთა, სპეციალისტი გულისა და ბავშვების ავადმყოფობის, რენტგენის სხივის კაბინეტი. დილის 10—11 საათ. და 5—7 საღ. მიხეილის პრ. № 545 ტელეფონი № 825. (90 296—54).

რუსეთ-იაპონიის ომი
დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“
30 აპრილი

გონკონგი. ბალტიის ესკადრა ლიმას კუნძულებთანაა, გონკონგიდან რამდენიმე მილის მანძილზე. ხალხში მღელვარება მატულობს, რადგან ამბავი მოვიდა, ბალტიის ესკადრას ხანკოის მოელიან, საფრანგეთის კოლონიის ინდო-ჩინეთის ჩრდილოეთითაო. 24 აპრილს იაპონიის კრეისერმა შეაჩერა გემი „ტემისი“, იაპონელთა აფიცრებმა გასინჯეს გემის ქაღალდები და ორი საათის შემდეგ ნება მისცეს გემს გზა განეგრძო.

მანილა. 27 აპრილს იაპონიის კრეისერმა გააჩერა ინგლისის გემი „ბარიკი“. კუნძულების ახლოს ბევრი გემია.

ტოკიო. გუშინ დილით ინკოუსა და პორტ-არტურს შუა წააწყდა ნაღმს და აფეთქდა ინგლისის გემი „სობრალენზე“. პორტ-არტურიდან გამოსულმა იაპონიის გემმა გადაარჩინა მგზავრთა და მეზღვაურთა უმეტესი ნაწილი. რამდენიმე კაცი დაირჩო.

ლონდონი. ინგლისის ესკადრა გონკონგთან გაჩერდა.

[illegible] კაპიტან ბურგუანის დატყვე- [illegible] ააშფოთა ფრანგი მცხოვრებლები. გამოცხადებულია ბრძანება, რომლითაც ძალაში შედის კუნძულ ფორმოზაზე სამხედრო კანონები საალყო მდგომარეობის შესახებ.

1 მაისი

ბერლინი. ვილჰელმსჰაფენში ახლად ჯარში გაწვეულთაგან ფიცის ჩამორთმევის დროს და სტრასბურგში გამართულ აღლუმის დროს იმპერატორმა ვილჰელმმა სიტყვები წარმოსთქვა და შეეხო რუსეთ-იაპონიის ომს. ირწმუნებიან, ვილჰელმსჰაფენს ვილჰელმმა სთქვა, რუსები იმიტომ დამარცხდნენ, რომ ცუდი ქრისტიანები არიანო. ამის გამო „ნორდ. ალგ. ცაიტ.“-ი ამბობს, იმპერატორის სიტყვები ყალბად გადასცეს გაზეთებმა. სტრასბურგში იმპერატორმა სთქვა, რუსის სალდათები მამაცად იბრძოდნენ, აფიცრები-კი ღირსეულად არ მოქმედებდნენო. კუროპატკინს შეცდომა მოუვიდა, რომ მთავარ სადგური მოწინავე ადგილას გადაიტანა, საიდანაც ძნელი იყო მთელი არმიის მოქმედებისათვის თვალ-ყურის დევნა; ოიამა-კი არიერგარდში იყო და იქიდან ადვილად შეეძლო ბრძოლის ხელმძღვანელობაო.

პეტერბურგი. 30 აპრილს შორეულ აღმოსავლეთიდან არ მოსულა ცნობები. ვიცე-ადმირალი კრიმერი დაინიშნა შავის ზღვის ფლოტის საპრაქტიკო ესკადრის უფროსად.

გუნჩულინი, 29 აპრილი. („საკუთ. კორესპ.“) მიუხედავათ იმისა, რომ იაპონელები უმეტესად მარჯვენა ფრთის წინაამდეგ უყრიან თავს თავიანთ ჯარებს, აქ ჯერ-ჯერობით სიმშვიდეა.

ტოკიო. იაპონიის გაზეთები ამბობენ, თუმცა საფრანგეთმა სისწორით აღნუსხა საქმის ვითარება ნეიტრალიტეტის შესახებ, მაგრამ აღთქმის სისრულეში მოსაყვანად-კი არავითარი ზომები არ მიიღოო.

პარიზი, 30 აპრილი. იაპონიის შინაგან საქმეთა მინისტრად ყოფილ ბარონ სუემატცუს აზრით, საფრანგეთისაგან წამოყენებული არგუმენტაციები ნეიტრალიტეტის დარღვევის შესახებ სრულებით ვერ ასუსტებენ იაპონელთ მიერ განცხადებულ პროტესტს. საფრანგეთის სახელმწიფო მთავრობა ყოველთვის არ ასრულებდა ხოლმე პარიზიდან გაგზავნილ ბრძანებას. ამგვარმა დაუდევრობამ ნება მისცა როჟესტვენსკის დაერღვია ნეიტრალიტეტი საფრანგეთის ტერიტორიალურ წყლებში. სუემატცუ დარწმუნებულია, საკითხი რომ საერთაშორისო სასამართლოს გაერჩია, იაპონია უსათუოდ მართალი გამოდგებოდაო.—ოსმალეთის შტაბის უფროსი, იზეტ-ფაშა მოჰკლეს. მეციხოვნე ჯარში სანაში 8000 კაცში 3 ათასმა დაჰყარა იარაღი და უარი სთქვა ბრძოლაზე.

პარიზი, 1 მაისს. როგორც შორეულ აღმოსავლეთში, აგრეთვე შეერთებულ შტატებში ძლიერ არიან გაკვირვებული იმით, რომ კავიტეში ამერიკის ესკადრა სდგას. ოფიციალურად ასე აცხადებენ, ესკადრას მიზნათ ნეიტრალიტეტის დაცვა აქვსო. მაგრამ ჰფიქრობენ მაინც, რომ თუ იაპონიამ გაიმარჯვა, იმ შემთხვევაში ესკადრა სამუდამოთ შორეულ აღმოსავლეთის წყლებში დარჩებაო.

ხაბაროვსკი, 1 მაისი. (საკუთ. კორესპ.). ომის ასპარეზზე მოვიდა უცხოელების 14 სამხედრო აგენტი ევროპის სხვა-და-სხვა სახელმწიფოსაგან; ისინი მხარეს ათვალიერებენ და უნდათ გაიცნონ იქაურობა.

პეტერბურგი. 30 აპრილი. გაარჩიეს საკასაციო საჩივარი ივანე კოლიევისა, რომელსაც ჩამოხრჩობა ჰქონდა გადაწყვეტილი დიდის მთავრის სერგი ალექსანდრეს ძის მოკვლისთვის. სენატმა უყურადღებოდ დასტოვა ეს საჩივარი.

პიატიგორსკი. გაიხსნა სამკურნალო სეზონი პიატიგორსკში; მშვენიერი დარია; არავითარი მღელვარება, არავითარი არეულობა არ არის, რაც მშვენიერ პირობებში აყენებს წყლებზე ყოფნას. არავითარი მოარული სენი არაა.

პეტერბურგი, 1 მაისი. საღამოს ათი საათი. 1-მა მაისმა მშვიდობიანად ჩაიარა. ჩვეულებრივ სეირნობას ხელი შეუშალა ცივმა, წვიმიანმა ამინდმა.

2 მაისი

დვინსკი, 30 აპრილი. გაიფიცნენ რიგა-ორიოლის რკინის გზის სახელოსნოები.

ბობრუისკი, 30 აპრილი. გაიფიცნენ მეწაღეები. გაფიცვა ერთს დღეს გაგრძელდა.

პარიზი, 1 მაისი. ალჟირ-ტულონს შუა გაზეთ „მატენ“-მა საავტომობილო ნავები გააჯიბრა, მაგრამ საქმე ცუდათ წავიდა. დაიღუპა ყველა ნავი. მათი კამანდები კი სამხედრო გემების ესკადრამ გადაარჩინა, რომელიც ფლოტილიას მიჰყვებოდა უკან.

ბალტა, 1 მაისი. გაიფიცნენ პურის მცხობელნი.

ლონდონი. ათასი მუშა, რომელთაც სამუშაო აქა აქვთ, მომავალ კვირაში ლეისტერიდან ლონდონს მივლენ საზოგადოებათა პალატის წინ დემონსტრაციის გასამართავად.

ლოძი. ახლო-მახლო სოფლებიდან პრუსიას და საქსონიაში სამუდამოდ წასული გლეხები უკან ბრუნდებიან, რადგან საზღვარ-გარედ ვერ იშოვეს სამუშაო.

ყაზანი. მაჰმადიანთა წარმომადგენლებმა—სიდაშევმა, გაბეტულინმა და გალეევმა—შემდეგი დეპეშა მიიღეს მინისტრთა კომიტეტის საქმეთა გამგის ბარონ ნოლდესაგან: მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარის განკარგულებით შინაგან საქმეთა მინისტრს გადასცეს თქვენი დეპეშა იმის შესახებ, რომ მაჰმადიანთ არ აუკრძალონ კვირაობით ვაჭრობა, როგორც ეს დადგენილ იქნა ყაზანის საბჭოს მიერ.

ჰელსინგფორსი. 1904 წელს ჰელსინგფორსის ნავთსადგურში იყო 8,135 გემი. იმავე წელს ფინლიანდიის საბაჟოების შემოსა[illegible]—37.680,925 მარკა.

[illegible]

ტრუბეცკოი. [illegible] კოსებმა გამოუცხადეს ქალაქ[illegible] 1 მაისს წყლის-სადენის მუშები გაიფიცებიან, ჩვენ ვიმუშავებთ მანქანებთან და ქალაქს წყალი არ მოუსპობათ.

რიგა. ქალაქ მიტავას განაპირას რამდენსამე ადგილს ქუჩებში დემონსტრაციები გაიმართა. ჩვეულებრივი დღესასწაული პირველი მაისისა აკრძალული იქნა.

ლოძი. მეეზოვეების გაფიცვა არ გამწვავებულა. მოთხოვნილება წარმოადგინეს და საქმეზე ხელი არ აუღიათ.

პარიზი. კუნძულ კრიტზე მღელვარებამ ძლიერ ააშფოთა იტალიის ოფიციალური წრეები. მემკვიდრის გეორგის წინაამდეგ დემონსტრაციებს აშკარა მოძრაობის ხასიათი ემჩნევა. ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ამას წინად კანეაში იტალიის საკონსულოს წინ მომხდარმა აფეთქებამ. დეპუტატმა გალიმ მიმართა პარლამენტს წინადადებით, რათა მიემხრონ კრიტის საბერძნეთთან შეერთებას.

ვენა. ტისსას და იმპერატორის დღევანდელ თათბირს არ მოჰყოლია უნგრეთის კრიზისის გადაწყვეტა.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“.
30 აპრილი

გონკონგი, 30 აპრილი. ოთხშაბათს საღამოს დაინახეს 17 სამხედრო გემი სამი მეფის კუნძულებთან, 12 მილის მანძილზე. ტრანსპორტები კაუძეს სრუტეში გამოჩნდნენ, კამრანის ჩრდილოეთით, 70 მილის მანძილზე.

სან-ფრანცისკო, 29 აპრილი. საბაჟოს მოხელეებმა იპოვეს ინგლისის გემ „დიპდენ“-ზე 3,500 ყუთი ყუმბარებით, რომელთაც იაპონიაში ჰგზავნიდნენ ჰამბურგიდან ნიუ-იორკის გზით. კაპიტანმა ბრძანება გასცა, წაეღოთ ყუთები გემიდან.

საიგონი, 30 აპრილი. 26 აპრილს როჟესტვენსკის ესკადრა ვანფონგის ნავთსადგურიდან გავიდა და მას აქეთ ცნობები არ მოსულა ესკადრის მგზავრობის შესახებ.

ბერლინი, 30 აპრილი. „ფრანკ. ცაიტ.“-ი იუწყება, ჰოლანდიის გავლენიანი გაზეთი „ჰანდელსბლატი“ პროტესტს აცხადებს იმის გამო, რომ საფრანგეთი ირწმუნება, იაპონიის ფლოტი ჰოლანდიის კოლონიების წყლებში იდგა და სურსათს ტვირთავდაო. გაზეთი სთხოვს ჰოლანდიის მთავრობას უარჰყოს ეს ცნობა.

ტოკიო, 30 აპრილი. კონსტიტუციონალისტთა პარტიის კომიტეტი დღეს მივიდა კაცურასთან განმარტების შესატყობად საფრანგეთის მიერ ნეიტრალიტეტის დარღვევის შესახებ. კაცურამ დაარწმუნა კომიტეტი, მთავრობამ ყოველნაირად უზრუნველჰყო იაპონიის ინტერესები და მოუთხრა, რა ზომებია მიღებული. კომიტეტმა პარტიის სახელით გამოუცხადა, დაკმაყოფილებული ვართო. სავაჭრო პალატაში შეტანილი წინადადება საფრანგეთის საქონლის ბოიკოტის შესახებ უკან წაიღეს.

ჩანჩავაძი, 30 აპრილი. ჯარების ფრონტს ჰზვერავენ. ეტყობა, მტერი საზღვაო ოპერაციების გათავებას ელოდება. განზანჯანცზინტუნის მიდამოებში აღმოჩინეს 2000-მდე კაცი; იქ დაძრწიან ჯოუბაშისა და ტულისანის ბრბონი. ცხელი ტაიფუნი გრიალებს.

შანხაი, 30 აპრილი. ამ დღეებში ნინგპოს ახლოს ნაღმებს წააწყდა ჩინელების ორი ჯონკა და აფეთქებულ იქნა. ჰფიქრობენ, რომ ეს ნაღმები ფორმოზიდან წამოუღია წყალსო. ეჭვს გარეშეა, რომ იაპონელები ბევრს ნაღმს აწყობენ პესკადორის კუნძულებთან, ფორმოზასთან და ჩრდილოეთის სრუტეებში.

ბერლინი, 1 მაისი. „სტრასბურგერ-პოსტი“ იუწყება, პარადის შემდეგ ნახევარ საათს ილაპარაკა ვილჰელმმა სტრასბურგშიო. იმპერატორმა გაჰკიცხა აფიცრობა იმიტომ, რომ ისინი ფუფუნებასა და დროს გატარებაში არიან გართული. რუსეთ-იაპონიის ომმა დაგვიმტკიცა, რომ იაპონელების აფიცრობა ჩინებულად ასრულებს თავის მოვალეობას; ისინი შრომის მოყვარენი არიან და უთავბოლო ცხოვრებას არ მისდევენ. სამაგიეროთ რუსის აფიცრობამ ვერ გაამართლა მოლოდინი, სალდათებმა კი ერთხელ კიდევ გამოიჩინეს თავიანთი კარგი თვისებები და სიმამაცეო. იმპერატორის აზრით, კუროპატკინი შესცდა, როცა არმიის ფრონტზე თვითონ წავიდაო; მან ველარ მოახერხა თვალ-ყური ეგდო ომის ასპარეზის ვეებერთელა სივრცისთვისო. პირიქით, ოიამა, ჭადრაკის მოთამაშესავით, ფრონტს უკან მოექცა და წინ მიდიოდა გამუდმებითო.

მოსკოვი. აქაურ გაზეთების გამომცემლებმა გადასწყვიტეს შეადგინონ კავშირი თა[illegible]ლად.

პეტერბურგი, 30 აპრილი. [illegible]

[illegible] მკვდარი დატუსაღ[illegible]

მორშანსკი, 30 აპრილი. კავკასიის სამესტნიკო საღამოს გაემგზავრა საგანგებო მატარებლით ტფილისისაკენ.

ბერლინი, 30 აპრილი. მომავალ კვირაში საერო განათლების სამინისტროში უმაღლეს სასწავლებელთა რექტორების კრება მოხდება. განიხილავენ საკითხს სასწავლებლებში უცხოელთა მიღების შესახებ. სამინისტროს პროექტით, განსაზღვრულია რიცხვი რუსებისა. საზოგადოდ აპირებენ უცხოელთა განსაზღვრული რიცხვი მიიღონ, მოუმატონ სწავლის ფასს, და უფრო სასტიკად მოსთხოვონ შესვლის მსურველთ ცენზი.

პეტერბურგი, 30 აპრილი. ოფიციალური. აპრილში ავად გახდა ხოლერით თითო-თითო კაცი კუშკასა, ასხაბადსა და ცარიცინში. აპირებენ ვრცლად გამართონ კითხვები ხოლერის შესახებ. ექიმებს გარდა, კითხვების გამართვის ნებას აძლევენ მღვდლებს, მასწავლებლებს, ფელდშერებს. განზრახულია ერობათა და ქალაქებს, რომელთაც საკმაო საშუალება არა აქვთ, ფულითა და შეღავათიანი სესხით დაეხმარონ. ხაზინამ გადასდო 200 ათასი მანეთი ხოლერასთან საბრძოლველად და სამკურნალო სადგურების გასამართავად. ექიმთა სიმცირის გამო, სანამ რუსეთ-იაპონიის ომი არ დასრულდება, ექიმებად მიიღებენ მე-V კურსის სტუდენტებს და უცხოელ ექიმებს. აპრილში შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაჰგზავნა კავკასიაში 36 ექიმი და 50 ფელდშერი, ექიმებს ნებას აძლევენ ორი კვირის განმავლობაში ლექციები მოისმინონ ბაქტერიოლოგიის შესახებ. ასტრახანის საბაქტერიოლოგიო ლაბორატორიასთან გაიხსნა პასტერის სტანცია შინაგან საქმეთა სამინისტროსი.

ნიუ-ჩუანი, 30 აპრილი. („რეიტ.“). გერმანიის ორთქლ-მავალ გემ „სობრალეზე“-ზე, რომელიც ჩაიძირა პორტ-არტურთან, 28 მგზავრი და 60 გემზე მოსამსახურე იყო. დაღუპვის ადგილას მოსულმა იაპონელთ ნავებმა 63 კაცი ამოიყვანა წყლიდან; ამათგან სამი კაცი გარდაიცვალა უკვე.

კიევი, 30 აპრილი. პოლიტექნიკუმის სტუდენტის სადგომში აღმოაჩინეს ბომბების საკეთებელი.

ბრესტ-ლიტოვსკი, 30 აპრილი. გუშინ ღამით განიზრახეს ბოქაულის თანაშემწის გოგოლის მოკვლა; ის რევოლვერით ტყვიით გაჰკრეს თავში. დაიჭირეს ორი ბოროტ-განზრახველი.

ოდესა, 30 აპრილი. გაზეთების გამომცემლები და ასოთ-ამწყობები შეთანხმდნენ და დაადგინეს ბეჭდვით სიტყვის მოღვაწეთათვის სრული დასვენება კვირაობით. მომავალ კვირიდან ორშაბათობით აღარ გამოვა გაზეთები.

ტომსკი, 30 აპრილი. მიკუშინმა შუამდგომლობა აღძრა საბჭოს წინაშე, მიიღეთ თქვენს გამგეობას ქვეშ ჩემი პროექტი ტომსკში სახალხო უნივერსიტეტის გახსნის შესახებო; ამ მიზნის განსახორციელებლად მე სიტყვას ვდებ ყოველ წლივ 3 ათასი მანეთი შემოვიტანო, სანამ ასი ათასი მანეთი არ შეიკრიბებაო. მიკუშინმა ათი ათასი მანეთი შეიტანა ერთბაშად გასულ სამის წლისა და სთხოვს საბჭოს ხელის მოწერა გამართოს შემოწირულებაზე, რათა საქმე დაჩქარდესო.

სახალინი, 1 მაისი. მეორე დღეა, რაც შტორმი მძვინვარებს. დღეს დრუჟინაში მოსამსახურეებს, პარაკლისის გადახდის შემდეგ, გა-

მოუცხადეს უმაღლესი მოწყალება—ერთის თვის სამსახური ერთის წლისად ჩაგეთვლებათ და შინ დაბრუნების ნებაც მოგეცემათო. მოწყალებას აღტაცებით მიეგებნენ.

პეტერბურგი, 1 მაისი. სარატოვისა, ყაზანისა, კრონშტადტისა, დონის როსტოვისა, ტფილისისა, კიევისა, ვოლოგდისა, კიშინიოვისა, ეკატერინოდარისა და ტომსკიდან დეპეშები მოვიდეთ, სადაც ნათქვამია, მიუხედავად საშიშ ხმებისა, წესიერება არ დარღვეულაო. მოსკოვში დილით პატარა მოძრაობა იყო, ქალაქს გამოცოცხლება დაეტყო. მშვენიერი დარი იყო, რამაც ბევრს ბაღში აუარებელ ხალხს მოუყარა თავი. აუარებელი მუშა შეიკრიბა ქალაქ გარედ და მშვიდობიანად სჯა-ბაასი ჰქონდა. პოლიციასთან შეტაკება არ მომხდარა. ტვერში ხმა გაავრცელეს, ბაზრის მოედანზე არეულობა იქნებაო, და ამან შიშის ზარი დასცა მცხოვრებლებს. იძულებული გახდნენ შეეწყვიტათ ღვთის მსახურება [illegible] ეკლესიაში. ქალები და ბავშვები საკურთხეველში შეეფარნენ. მაღაზიები დახურეს დროებით. რეველში 3 ათას მუშას დაშით უნდოდა ქალაქში შესულიყო ეკატერინენტალის პარკიდან, მაგრამ პოლიციამ გაჰფანტა ისინი. დღისით შეიკრიბნენ და მშვიდობიანად იდღესასწაულეს პირველი მაისი. წესიერება არ დარღვეულა.

ჟურნალ-გაზეთებიდან

როჟესტვენსკი და საფრანგეთის ნეიტრალიტეტი. ფრანგულ გაზეთ „მატენ"-ში დაბეჭდილია წერილი ადმირალ როჟესტვენსკის საქციელის შესახებ. გაზეთის აზრით, როჟესტვენსკი მეტად უდიეროდ იქცევა სხვათა შორის, გაზეთი ამბობს: ადმირალ როჟესტვენსკის უდიერობა ისე თვალსაჩინოა ყველასათვის, რომ უფლება გვაქვს ვიფიქროთ: რუსის ადმირალს აზრადა აქვს გაამწვავოს საქმე. ეს საქმის გამწვავება, შეიძლება, რუსეთისათვის მეტად ხელსაყრელი იყოს, ხოლო ფრანგთათვის მეტად სავალალო გახდეს. როჟესტვენსკი სულ იმის ცდაშია, დაამტკიცოს, რომ ის ნაკლებ აქცევს ყურადღებას იმ ვალდებულებას, ნეიტრალიტეტის ძალით რომ გვაწევს. რაკი ფრანგებთან სტუმრად არის, ალბად, ჰგონია ჩემს საკუთარს სახლში ვარო. ადმირალ ჟონკიერსა აქვს მინდობილი, საქმე ისე მოაწყოს, რომ ყველამ პატივი სცეს ჩვენს ნეიტრალიტეტს. თვითონ ჟონკიერიც ისეთი კაცია, რომ შესძლებს თავისის მთავრობის ბრძანება სავსებით აასრულოს. მაგრამ მისი მდგომარეობაც მეტად სათუთია, რადგან საეჭვოა ადმირალმა როჟესტვენსკიმ ხელი მოუმართოს და საფრანგეთის მთავრობის ბრძანება აასრულებინოს".

„ნოვ. ვრ." მეტად უკიჟინებს ფრანგულ გაზეთს და ამბობს, ალბად, იაპონელებმა მოისყიდეს და ფულის გამო ლაპარაკობს ასეო. („ნოვ. ვრ.").

რუსის ჯარის-კაცი ბრძოლას როგორ აძვრენს თავს. ჯერ კიდევ რუს-ოსმალოს ბრძოლის დროს არა ერთხელ შეუნიშნავთ ის ამბავი, რომ დაჭრილს ჯარისკაცს საღი ჯარისკაცები შველოდნენ და აცილებენ ჭრილობათა შესახვევ ადგილებამდე, საიდანაც უმეტეს შემთხვევაში უკან აღარ ბრუნდებოდნენ ხოლმე. ამნაირივე ამბავი ახლაც შეუნიშნავთ. თანამედროვე ბრძოლის დროს ხშირად 10—15 ათასი კაცი გამოერევა დაჭრილი. როცა ამათ ამდენივე მრთელი ჯარისკაცი გაჰყვება, მებრძოლ დივიზიას ნახევარზე მეტი კაცი აკლდება. („ოდ. ნ.").

ტენხუნსიანის აღება. „ტაიმს"-ის კორესპონდენტი დეპეშით იუწყება ტოკიოდან: იაპონელები სასაცილოდ იგდებენ გენ. ლინევიჩის მოხსენებას, ვითომ რუსის ჯარმა 12 აპრილს ღამით იაპონელები ხუთის პოზიციიდან განდევნა და ქალ. ტუნხუნსიანი დაიჭირაო. იაპონელები ირწმუნებიან, რუსებმა მხოლოდ ქალაქის ერთ უბანში მოახერხეს შესვლა და შემდეგ საჩქაროდ უკან დაიხიეს, რადგან იაპონელები მივიდნენ და ქალაქი დაიჭირესო.

ტუნხუნსიანი მდ. ილუსაკენ მდებარეობს, ხუანქენსიანიდან 50 ვერსტზე, ჩრდილოეთით.

იაპონიის შინაგანი მდგომარეობა. რუსეთის მომხრე ფრანგულ გაზ. „ჟურნალ"-ის კორესპონდენტი ამტკიცებს, იაპონიის შინაური მდგომარეობა საუცხოვოაო. კორესპონდენტი ამბობს, თუმც რუსეთის მეგობარი ვარ, მაგრამ მაინც უნდა ვსთქვა, რომ რუსეთს ტყუილად აქვს იმედი, ვითომ იაპონია თან-და-თან დასუსტდებაო. ევროპაში ამბობენ, ომმა გაალატაკა იაპონიის ხალხი, იაპონელები ამ ჟამად საშინელ ტანჯვაში არიანო. გულახდით უნდა ვსთქვა, რომ ეს ტყუილია. აგერ ხუთმეტი წელიწადია იაპონიას ვიცნობ, ომის დროსაც თვალს ვადევნებ და უნდა მოგახსენოთ, რომ იაპონია მშვენიერ გუნებაზეა. ცხოვრება ცოტათი გაძვირდა და იქნება ეს უომოდაც ასე მომხდარიყო. ხალხს არა თუ ნაკლები, შესამჩნევად მეტი ფული შეაქვს შემნახველ კასებში. მართალია, ზოგიერთ დარგის ვაჭრობა თითქო შედგა, მაგრამ არავინ გაკოტრებულა და ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა აქვს.

შემდეგ კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ზღვა თავისუფალია და ომი სულ არ აფერხებს ვაჭრობასაო. იაპონიის კრედიტი შინაგანი, თუ გარეშე, ძლიერ მატულობს. შინ მთავრობამ მთელი მილიარდი ისესხა და მეორეზე შინაგანმა სესხმა მაინც ბრწყინვალედ ჩაიარა. მესამე გარეშე სესხიც სასარგებლო პირობით აიღო იაპონიამ. მთავრობას კიდევ დიდის ფულის შოვნა შეუძლიან საზღვარ-გარეთ, რადგან ფინანსისტებისათვის ბევრი კარგი გარანტია აქვს: რკინის გზები, მადნეთი და მაღაროები ჯერ დაგირავებული არა იქვს. ამას გარდა მთავრობას შეუძლიან უცხოელებს იაპონიაში უძრავ მამულის შეძენის უფლება მისცეს. ეს მეტად ძვირფასი უფლებაა და ფინანსთა მინისტრი ამ ღონისძიებას უკიდურეს შემთხვევისათვის ინახავს.

კორესპონდენტი სწერს: არა, უბედურ მეგობარს (რუსეთს) თვალი უნდა გავუხილო, სუსტი მხარე უნდა დავანახვო, სიმართლის თქმა მტრობა როდია. დავრწმუნდი, რომ მანჯურიაში ორი იაპონელი სამს რუსს გასცემს პასუხს და რუსის მთავარ-სარდალს უსათუოდ 800 ათასი კაცი უნდა ჰყავდეს, რომ გამარჯვების იმედი იქონიოს. კორესპონდენტს არც რუსის ფლოტის გამარჯვება სჯერა, ამიტომ შერიგებას ურჩევს რუსეთს. („ი. ვ.").

თავად-აზნაურობის დეკლარაცია

ვბეჭდავთ ქვემოდ ქუთაისიდან მიღებულს თავად-აზნაურთა განცხადებას; ვბეჭდავთ იმიტომ, რომ ეს განცხადება, იმაში გატარებული აზრი, ჩვენ თავად-აზნაურობის უმეტესობის აზრია; ამერეთშიაც და იმერეთშიაც შეგნებული თავად-აზნაურობა ასე ჰფიქრობს და ჩვენის მკითხველებისათვის საჭიროა, იცოდნენ ეს აზრი, ეს შეხედულება.

რას ამბობენ თავად-აზნაურნი? პირველად ყოვლისა აღიარებენ, არ თანავუგრძნობთ ძალ-მომრეობას თავად-აზნაურთა და გლეხთა ურთიერთობაში, ვეწინააღმდეგებით სისხლის-ღვრას, დარბევას, ცეცხლის წაკიდებას და სხვა ამგვარ მოქმედებას, რამაც თავი იჩინა ზოგან ჩვენს სოფლებშიო.

ამის შესახებ არა ერთხელ გვითქვამს ჩვენი აზრი, რომელიც სრულიად ეთანხმება განცხადების ავტორთა აზრს. ჩვენც ვეწინააღმდეგებით, ჩვენც სამწუხაროდ და მავნებლად მიგვაჩნია წოდებათა შორის არსებულის ანგარიშების ცეცხლითა და მახვილით გასწორება, მით უმეტეს ეხლა, როცა საერთო განმათავისუფლებელი მოძრაობა თხოულობს, დროებით მაინც, ძალების შეთანხმებას. არსად, არცერთს ქართულს გაზეთში, რასაკვირველია, ერთი სტრიქონიც არ ყოფილა იმისთანა, რომ ვისმე საბუთი მისცემოდა და ეთქვა, პრესსა თავად-აზნაურთა გაჟლეტას ჰქადაგებსო. მართალია, ზოგიერთი გაბოროტებული ადამიანი განზრახ ასეთს ბრალსა სდებს ჩვენს პრესსას და ამით ჰსურს ვნება მოუტანოს მას; მაგრამ, ჯერ-ჯერობით მაინც, „ღვთის მადლით", ამ ვაჟბატონების „დანოსებსა" და ჭორებს გასავალი არა აქვთ. ჩვენმა გაზეთებმა საკმაოდ ნათლად გაარკვიეს თავისი შეხედულება დღევანდელ გლეხთა მოძრაობაზე და ამ შეხედულებას არაფერი საერთო არა აქვს ძალმომრეობისა და ჟლეტის ქადაგებასთან.

ამით თავდება ჩვენი და თავად-აზნაურთა განცხადების შორის თანხმობა. თავად-აზნაურთა განცხადების მეორე ნაწილი ქადაგობს ისეთს აზრს, რომელსაც ჩვენ სრულიად ვერ დავეთანხმებით. ისინი რაღაც ინტერესების ჰარმონიას ქადაგებენ, თითქმის უარჰყოფენ კიდეც განხეთქილების არსებობას. ჩვენთვის-კი ცხადია, რომ გლეხობის მოძრაობას ღრმა სოციალური მიზეზი აქვს, რომ გლეხობის მდგომარეობა მეტად ანორმალურია და საჭიროა ძირითადი რეფორმები. „განცხადება" იმასაც არ უარჰყოფს ვითომ, რომ რეფორმები საჭიროა, მაგრამ ყრუდ და გაურკვევლად ლაპარაკობს; სამაგიეროდ ხმა-მაღლა და გარკვევით აღიარებს ინტერესების ერთობას, დროებით შევიწროების დავიწყების საჭიროებას და სხვა ამგვარებს. მოვიცადოთო, ამბობს თავად-აზნაურობა, სანამ განმათავისუფლებელი მოძრაობა გაიმარჯვებსო და მაშინ გაადვილდება რეფორმების განხორციელებაო. რეფორმების განხორციელება ჩვენ ხელთ არ არის და ძალა-უნებურად უნდა მოვიცადოთ, მაგრამ ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ გლეხთა სამართლიან მოთხოვნებზე ხმა არ უნდა ამოვიღოთ. პირიქით, გლეხთა მოძრაობა თავის გზითა და მიმართულებით უნდა მიდიოდეს, მხოლოდ შეგნებული შეიქმნეს და სტიქიური ხასიათი დაჰკარგოს. გლეხთა მოძრაობა, ნორმალურს პირობებში ჩაყენებული, სასარგებლოა ქვეყნისათვის; თუ თვით ხალხმა არ მოიკრიბა ძალა, თვით არ შეეცადა თავის სვე-ბედის გაუმჯობესებას, ისე საქმე არ გაკეთდება. თავად-აზნაურობა-კი იმასა ცდილობს, ეკონომიურ დისჰარმონიაზე სულ ნუ იქნება დღეს ლაპარაკიო, გლეხობამაც დაივიწყოს თავის საკუთარ ეკონომიურ საჭიროების დაკმაყოფილებისათვის ბრძოლაო. ეს-კი შეუძლებელია და აქ იყოფა თავად-აზნაურობისა და გლეხობის გზა. იმათი შეთანხმება შეიძლება უახლოეს მიზნის მიღწევის საქმეში, მაგრამ ეს იმას არ მოასწავებს, ვითომ გლეხობამ უნდა დასთმოს თავისი სამართლიანი მოთხოვნა, ხოლო თავად-აზნაურობამ ყური წაუყრუოს გლეხთა ღაღადს, აქაო და სხვა, უფრო დიადი საქმე მაქვს საზრუნავიო.

აი, ამაში ვერ დავეთანხმებით თავად-აზნაურობის განცხადებას.

კარგია, რომ საქართველოს თავად-აზნაურობამ—ამერეთშიაც და იმერეთშიაც—პროგრესიული შეხედულება გამოაცხადა, საჭიროდ იცნო ადგილობრივი პოლიტიკური თვით-მმართველობა და ამ თვით-მმართველობის დემოკრატიზაციის საჭიროებაც პრინციპიალურად აღიარა; მართალია თავად-აზნაურობა, რომ წოდებათა უთანხმოებაში ჟლეტისა და მახვილის საჭიროების წინააღმდეგ ღაღადებს. მაგრამ, ამას რომ ხელზე იხვევს და საზოგადოთ აგრარულ საკითხის გადაფუჩეჩებას ჰლამობს,—ეს არც მოსაწონია და არც სამართლიანი. **გ.**

ახალი ამბავი

◆ 23 მაისისათვის გადაწყვეტილია შესდგეს ტფილისში გუბერნიის **ადგილ-მამულის პატრონთა საერთო კრება**, რომელზედაც განხილულ იქნება აგრარული საკითხი.

◆ ტფილისის სამოსამართლო პალატას გადაეცა განსახილველად საქმე **იმ პოლიტიკურ დემონსტრაციის შესახებ**, რომელიც მიმდინარე წლის 23 იანვარს მოხდა გოლოვინის პროსპექტზე, „როსსია"-ს სასტუმროსთან. სამართალში მიცემული რაჭის მაზრის მცხოვრები ილია კერესელიძე. მას ბრალსა სდებენ სისხლის სამართლის ახალ დებულების მე-121-ე მუხლის მეორე ნაწილის ძალით. ხსენებულ მუხლის ძალით სჯიან ისეთ ყრილობაში მონაწილეობის მიღებისთვის, რომელიც განზრახ იყო გამართული უმაღლეს მთავრობის უპატივცემულობისა ანა და არსებულ მართვა-გამგეობის გაკიცხვის გამოსაცხადებლად. ბრალდებულს იცავს ნაფიცი ვექილი მ. ო. გრუზენბერგი. საქმეს 4 ივნისს გაარჩევენ.

◆ როგორც იქნა, 1 მაისს ტფილისის **ტრამვაის დირექცია და მოსამსახურენი შეთანხმდნენ** და გუშინ ვაგონების მიმოსვლა განახლდა. კრება მოხდა ქალაქის გამგეობის სადგომში ქალ. მოურავის თავმჯდომარეობით. ტრამვაის დირექტორები დასთანხმდნენ, სხვათა შორის, შემდეგ მოთხოვნილებებზედ: მიეცეთ: კონდუქტორებსა და ვაგონების დამტარებლებს—1 მანეთამდე, კონტროლებსა და სადგურის უფროსებს—1 მან. 50 კაპ., დარაჯებსა და მეისრეთ 80 კაპეიკამდე; მემანქანეების ეხლანდელ ჯამაგირს მოემატება 15 მან. თვეში; კაჩეგარებსა და მემანქანეთა თანაშემწეებს 7 მან. 50 კაპ. მოემატებათ; დარაჯებს, რომელთაც 5 წელზე მეტი უმსახურნიათ, ზედმეტად ჯამაგირი მიეცემათ დღეში 10 კაპ.; ახლად მიღებულ მოსამსახურეთ იმდენივე დაენიშნებათ, რამდენიც ძველებს აქვთ; მოსამსახურეთ ეხლავე მიეცემათ 5600 მან., რომელსაც ერთმანეთში გაინაწილებენ. 8 საათის სამუშაო დღე, თუ ქალაქის საბჭო დასთანხმდა, დირექციას ნება არ ექნება მსახურთა დათხოვნისა ამხანაგურ სასამართლოს დაუკითხავად; თუ უთანხმოება მოხდა დირექციასა და საამხანაგო სასამართლოს შორის, საქმე განსახილველად გადაეცემა ქალაქის საბჭოს კომისიას და სხვა. ის საქმეები, რომელთა გამოც ვერ შეთანხმდნენ, გადაეცემა სამედიატორო სასამართლოს, რომლის განაჩენს უნდა დაემქვემდებარონ როგორც მსახურნი, ისე დირექცია. ამ დადგენილებას ორივე მხარემ ხელი მოაწერა.

◆ შაბათს, 30 აპრილს, „ივერიის" რედაქციის ბინაზე მოხდა **ქართველ ჟურნალისტების კრება.** სულ დაესწრო კრებას 40-ზე მეტი თანამშრომელი ქართულ გაზეთების, და ქართველი ლიტერატორები. კრებამ მოისმინა ანგარიში სრულიად რუსეთის ჟურნალისტების კრებისა და გადასწყვიტა ქართველ ჟურნალისტების კავშირის დაარსება. კავშირის „პლატფორმად" კრებამ მიიღო რუსეთის ჟურნალისტების რეზოლიუცია დემოკრატიულ წარმომადგენლობითი წესწყობილებისა და ეროვნულ ავტონომიების შესახებ. ქართველ ჟურნალისტების კავშირი ავტონომიურად შეუერთდება სრულიად რუსეთის ჟურნალისტთა კავშირს. კრების დასასრულ არჩეულ იქმნა კავშირის ბიურო, რომელმაც უნდა გამოარკვიოს, ვინ მოისურვებს ქართველ ჟურნალისტა კავშირში შესვლას და აგრეთვე დამოკიდებულება ექნება პეტერბურგში დაწესებულ ბიუროსთან. ჩვენის ბიუროს წევრებად აირჩიეს გ. ჟ. ლასხიშვილი, პ. რ. სურგულაძე, გრ. ს. რცხილაძე, ი. ი. ზურაბიშვილი და ფ. ს. კოგიჩაიშვილი.

◆ ამას წინად კავკავის გზაზე **მეეტლეები გაიფიცნენ.** მათ მაგიერად მუშაობდნენ დარაჯები და ყაზახ-რუსები. მეეტლეები ქირის მომატებას თხოულობდნენ. გაფიცვა გამოიწვია მეეტლეების მეტად გაჭირვებულმა მდგომარეობამ. წინად, როცა კავკავის გზით ბლომად დადიოდა ხალხი, მეეტლეები უკეთეს პირობებში იყვნენ, რადგან მგზავრებისაგან ფულს იღებდნენ საჩუქრად. დღეს-კი ისინი მხოლოდ მცირე ჯამაგირს იღებენ, 5—9 მანეთამდე თვეში, და ნამდვილ შიმშილს ითმენენ თავიანთ ცოლშვილით იმ დროს, როცა ფოსტის პატრონს ქ-ნ იბრაგიმბეკოვს კარგი შემოსავალი აქვს. საქმის გამოსარკვევად გაიგზავნა მთავრობის მოხელე. როგორც გავიგეთ, მეეტლეთა მოთხოვნილება დაკმაყოფილებულ იქნა.

◆ 30 აპრილს ტფილისის საბჭოს დარბაზში, სტ. ქრილაშვილის თავმჯდომარეობით, **მოხდა კრება თვით-მმართველობის** მოხელე-მოსამსახურეებისა. კრებას დაესწრო 400 ქალი და კაცი: იყვნენ ექიმები, მასწავლებელნი, კანცელარიის მოხელენი, მუშები და სხვ. თავმჯდომარემ კრებას მოკლედ აცნობა საქმის ვითარება და შემდეგ კრება შეუდგა კომისიის მიერ შემუშავებულ საშუალებათა განხილვას. პირველად ლაპარაკი იყო კომიტეტის დაარსების შესახებ. ამ კომიტეტმა უნდა მიიღოს მონაწილეობა ყველა იმ საკითხის განხილვის დროს ქალაქის გამგეობაში, რომელიც შეეხება მოხელე-მოსამსახურეთა მიღება-დათხოვნას, მათ მდგომარეობის გაუმჯობესებას და სხვას, მაგრამ კომიტეტს უფლება არ ექნება ხმის გადაწყვეტაში მონაწილეობის მიღებისა. ამ მუხლმა

ფელეტონი

კახეთი 1812 წ.

ისტორიული ამბავი.

VI.

რუსის მართვა-გამგეობამ იმედი გაუცრუა ქართველობას, ან-კი როგორ აიტანდა კაპიტან-ისპრავნიკების და ვახტერების ბატონობას, ან მეჭიანურე პროკურორის დაზღანდარობას? იმედგაცრუებული ერი ხან-და-ხანობით ხმას იმაღლებდა და იარაღით დაპირებდა ხოლმე დაკარგულ უფლების დაბრუნებას. კმაყოფილი არ იყო რუსის მართვა-გამგეობისა სამღვდელოებაც. მართალია, კათოლიკოსი ანტონი II ჯერ არ ჩამოეგდოთ ტახტიდან, მაგრამ ყველაფრიდან სჩანდა, რომ ივერიის თავისუფალი ეკლესია დიდხანს ვეღარ იბოგინებდა. კილო და მოქმედება თ. პ. დ. ციციშვილისა სახეიროს არას უქადდა ძველის-ძველ ავტოკეფალურ საყდარსა. ეპარქიები შეამცირეს, მრავალი სამრევლო ეკლესია დახურეს, გააუქმეს საეკლესიო მამულები და ხაზინას ჩააბარეს მათი მოვლა-პატრონობა. საეკლესიო მამულების გამგე მოურავები—საეკლესიო აზნაურნი გაირიყნენ და მშიერ-მწყურვალი იხოცებოდნენ. ძალ-მომრეობისა გამო აიმრიზა სასულიერო წოდება და ულუკმა-პუროდ დაჩენილი საეკლესიო აზნაურობა. ასეთ გუნებაზე დაყენებული სამღვდელოება და აზნაურობა მუდამ მზად იყო აჯანყების დროშა აეფრიალებინა რუსების წინააღმდეგ და მართლაც არც ერთს ამბოხებას ისე არ ჩაუვლია საქართველოში, რომ მღვდელსა და ბერს და საეკლესიო აზნაურს მხურვალე მონაწილეობა არ მიეღო უკმაყოფილების ცეცხლის გაღვივებაში. თუ კი სადმე აპრიალებდა ცეცხლს, ესენიც უსათუოდ მუგუზალს მოუმატებდნენ ხოლმე. ესაა მხოლოდ სათქმელი, რომ ერთობა არ იყო. ერთი რომ ხალხს უჩიჩინებდა და აჯანყების გზაზე აყენებდა, მეორე [illegible] რჩეობდა და [illegible] მთავრობასთან ჯილდოს [illegible]. ქვემოდ დაწერილებით იქნება მოხსენებული, თუ რა უპატიოსნო ხელობაა იკისრა თელავის კარის მოძღვარმა არქიმანდრიტ ელევთერ ზუბკაიშვილმა, როგორ გასცა სამშობლო და მაინც სულ წაწყმედილი მოძღვარი დაუჯილდოვებელი დარჩა, ასე რომ საქმე [illegible] გაუხდა.

სწორედ ასეთივე ბედი ხვდა წილად ჩვენს მოწინავე წოდებას—თავადობას. მადლიერი არავის იყო რუსეთისა, ვერ შეეთვისა მათ ზნე-ჩვეულებასა, არ მოსწონდა ახალი მართვა-გამგეობა, ოცნებობდა, ნატრობდა ძველ დროსა და ჟამსა, ელანდებოდა გმირი მეფე, მისი ქველმოქმედება და სულ იმის ფიქრში იყო—როდის იქნება მალე წავიდნენ [illegible] და [illegible] სტუმრებითო. დიაღ, ასეთი იყო სულის ვითარება მაშინდელის თავადისა. ამოოხვრის გუნებაზე დამდგარი თავადი ხმალსა და თოფს არ ეშორებოდა და ოცნების განსახორციელებლად ბევრი თავს აკლავდა მტერსა, ჰკარგავდა ქონებას; ბევრს უთვლია ციმბირის უზღვარ-უკიდეგანო ველ-მინდორი და დაუდუღავი ტყე-ღრენი, ბევრი სამუდამოდ გადახვეწილა ოსმალეთს, ან სპარსეთში, მაგრამ მაინც სიმტკიცე არა ჰქონდათ. საქმეს დაიწყებდნენ ხოლმე და ბოლოს-კი ვეღარ ათავებდნენ. ერთი რომ პატიოსნურად ატარებდა სახელსა და ვაჟკაცურად უწვდიდა მოქნეულ ხმალსა, მეორე შელოცვილივით სორომში მძვრებოდა, გულს აქციებდა და მტრის სარდალს გზასა და კვალს უჩვენებდა მოძმისა და სამშობლოს დასანთქმელად. ორთავე ჯურის თავადებს ბლომად ვიხილავთ ქვემოდ, თვით აჯანყების და თოფ-ზარბაზნის გრიალის ამბავს რომ მოგახსენებთ 1812 წელს კახეთში. ტყუილად კი არ გვაყვედრიდნენ მაშინდელი მოხუცნი, ჩვენ რომ არ მოგვშველებოდით, მტერი ისე წაგახდენდათ, რომ თქვენი სისხლი გაწყდებოდაო.

მაშინ, საქართველოში, თუ ხალხებად ჰყავდა რუსობას მოკეთე, არც მეზობლობაში მოეპოვებოდათ მოტრფიალენი. სპარსეთი და ოსმალეთი დიდიხანია ალმაცერად უცქეროდნენ რუსების ჩამოთესვლებას საქართველოში, ოსმალეთის მოსამზღვრე ფაშებმა, სპარსეთის ბატონმა ბაბახანმა და მისმა მემკვიდრე აბას-მირზამ ძილი დაჰკარგეს თითქმის და ათას ხათაბალას უტეხდნენ საქართველოს მთავარ-მართებლებს. საყვედურით ახრჩობდნენ ქართველობას რუსების დაპატიჟებისთვის და თან ჯავრსა ერიდებოდნენ, სადაც-კი მოასწრებდნენ, სიცოცხლეს უმწარებდნენ. რაკი ცალკ ცალკე ვერა დააკლეს-რა რუსებს, განიზრახეს შეერთება და 1810 წელს ოსმალეთმა და სპარსეთმა შეჰკრეს ფორმალური კავშირი რუსეთის წინააღმდეგ. სული და გული კავშირისა გახლდათ ინგლისი, რომელმაც ამ დროს მოიმაგრა ფეხი სპარსეთის ტერიტორიაზე ბენდერ-ბუშირში. ინგლისი ბზესავით აბნევდა ოქროს სპარსეთის შაჰის კარზე, სპარსელებს აქეზებდა რუსების წინააღმდეგ და სულ იმას ჩასჩიჩინებდა, თუ რუსეთმა ფეხი არ ამოიკვეთა საქართველოში, სპარსეთი სამუდამოდ დაიღუპებაო. ღონე მიხდილი სპარსეთი კარგადა ჰგრძნობდა, რომ რუსები სპარსეთს ხეირს არ დააყრიდნენ და საომრად ემზადებოდა, მაგრამ უბედურება ის იყო, რომ რიგიანი ჯარი არსა ჰყავდა და იარაღი არ უვარგოდა. ინგლისი უმალ დაეხმარა გამგონე სპარსეთს. ოციათასი თოფი ჩამოუტანა და უბრალო საპოლიტიკო აგენტის მაგიერ გაამწესა თეირანში უფლებამოსილი მინისტრი, რომელსაც თან გამოაყოლეს ინსტრუქტორები ჯარის გასაწვრთნად, ზარბაზნების ჩამოსასხმელად, ციხე-სიმაგრეთა ასაშენებლად და სხვა. გულმხურვალედ შეუდგნენ ყიზილბაშები სამზადისს და ელოდნენ მოხერხებულ დროს რუსებზე თავდასასხმელად. 55)

ფორმალური საბაბი ომის გამოცხადებისა მუდამ მზად გახლდათ—რუსებმა უკანონოდ აჰხადეს გვირგვინი ბაგრატიონთა გვარსაო. უკანონობის მომქმედნი უნდა დაისაჯნენ და საქართველოს ტახტი დაუბრუნდეს კანონიერ მემკვიდრეს ალექსანდრე ბატონიშვილს, რომელსაც სპარსეთის მთავრობამ ათას ორასი თუმანი როჭიკი (ჯამაგირი) გაუჩინა წელიწადში. 56)

დაუძინებელი მტერი რუსის მთავრობისა ბატონიშვილი ალექსანდრე არწივივით თავს დასტრიალებდა მღელვარე საქართველოს, ნადავლს ელოდა და ამბოხების ჩიაკოკონას ამზადებდა. მოუსვენარი ტახტის მაძიებელი ხან ერევნის სახანოში ამოჰყოფდა თავსა, ხან თვით სპარსეთში, ხან დაღესტანსა და ლეკეთში და ხან ახალციხის საფაშოში. ყველგან, სადაც-კი გაჩნდებოდა რუსების მოძულე ბატონიშვილი, სასურველი და სანეტარო სტუმარი იყო. მისი სტუმრობა და მეთაურობა რუსის მართვა-გამგეობის წინააღმდეგ ერთი და იგივე იყო, ასე ვსთქვათ სინონიმი. ეტყობა, ან ქართველ კაცის სახელს, ან ბატონიშვილ ალექსანდრეს რაღაც უცნაური, მიმზიდველი და ანდამატური ძალა ჰქონია. ამ დღეებში რუსის სამსახურის პოლკოვნიკმა, ანწუხელმა დეკმა 57) ღიმილითა და თავმოწონებით მიამბო, ბატონიშვილი ალექსანდრე დაღესტანს რომ ამოვიდოდა ხოლმე, ჩვენს ოჯახში თურმე დასდგებოდა ბინასაო. კარგად მახსოვს,—ბავშობა—სიყმაწვილეში ზღაპარსავით მიამბობდნენ, თუ სად ისვენებდა [illegible] ოთახში იძინებდაო. დრომ და ჟამმა თავისი გაიტანა, ალექსანდრეს ნადგომი ოთახები დაინგრა, სიძველისა გამო დაიფუშა ის ორი ხის ყუთიც, სადაც ბატონიშვილის ნივთები ელაგაო. ეს კი დამაზე მახსოვს, რომ დიდის მოწიწებით და სიყვარულით ინახავდნენ ჩვენს ოჯახში ამ უბრალო ყუთებს და უფრთხილდებოდნენ ნიშნად ბატონიშვილისადმი ძვირფასის სტუმრის ნაქონარ ნივთებისაო.

1812 წელს, არეულობის დროს, ბატონიშვილმა ალექსანდრემ გაავსო კახეთი, ხევი და მთიულეთი პროკლამაცია-წერილებით. ფრიად საყურადღებოა ტონი, კილო და შინაარსი წერილ-პროკლამაციებისა. მნიშვნელობას არაა მოკლებული აგრეთვე სტილი წერილებისა. დასახასიათებლად მაშინდელის დროისა და თვით ტახტის მაძიებელ ბატონიშვილისა მოვიყვანთ რამდენიმე წერილს მცირედის შემოკლებით.

აი რა წერილი გაუგზავნა ბატონიშვილმა 1 მაისს 1812 წ. [illegible] დაბინავებულ თავადობას, აზნაურობას, ერსა და მოხელეობას სპარსეთიდან. მრავალს ძმურის სიყვარულით აღვსილს მოკითხვას მოახსენებს და შემდეგ ბრძანებს: „თქვენმა ეგეთმა სახელგანთქმულმა და ნამესიანმა სიმხნემ ოთხსავე მხარეს, აღმოსავლეთს, დასავლეთს, სამხრეთს და ჩრდილოეთს მიაწია და ყოველნი ერნი ხალხნი თქვენის ძლევისა და ქებასა გვირგვინის შემთხზველნი არიან. დღეს იდიდნენ საქართველოსა შინა მცხოვრებელნი და დღეს დაგვირგვინდა დიდებისა დაგვირგვინებითა. რა ქება მოგიძღვნათ ანუ რა წყალობა აღგითქვათ, რომელნიც უმაღლეს ღირსეულობისა და პატივისა ღირსნი ხართ, ესრეთ დაცემულის სახლის აღმმართველნი, მეფის ირაკლის შვილების მომძიებელნი, იმის თქვენზე მამაშვილურის პატივისცემისა არა უგულებელს მყოფელნი. აწ [illegible] რომ თქვენს გულის-ხმიერებასა და ბარაქ

დიდი კამათი გამოიწვია ბ-ნმა მამულაშვილმა, კლიმიაშვილმა და სხ. მოითხოვეს ხმის უფლება კომიტეტისთვის. წარმომადგენელთა ყოლა მოინდომეს ორატორებმა საბჭოს კომისიებშიაც. წინააღმდეგნი იყვნენ სასანიტარო ინსპექტორი სტეფანოვი, არვანოვი და სხვანი. ბოლოს კრებამ მიიღო წინადადება ბ-ნ მამულაშვილისა. სხვა საკითხების განხილვა ამ საღამოს ვერ მოასწრეს და გადასდეს 8 მაისისთვის.

◆ როგორც უკვე იციან ჩვენმა მკითხველებმა, ხელახლად უნდა განიხილონ საკითხი **სომეხთა საეკლესიო თანხების** შესახებ. „ნოვოსტი“-ს სიტყვით, ჩამოვა თუ არა ტფილისს კავკასიის ნამესტნიკი, მოიწვევს განსაკუთრებულ კომისიას, რომელშიაც შევლენ ადმინისტრაციის, საზოგადო დაწესებულებათა და სამღვდელოების წარმომადგენელნი. უკანასკნელთ კათალიკოსი აირჩევს და პირადადაც მიიღებს მონაწილეობას. იმედი აქვთ, რომ ეს საკითხი სომეხთათვის სასურველად გადასწყდებაო, ამბობს „ნოვ.“-ი.

◆ როგორც ვწერდით, ტფილისის საკომერციო სასწავლებლის მოსწავლეთ, სხვათა შორის, მოითხოვეს **სამშობლო ენის სწავლების გაფართოვება.** საპედაგოგიო საბჭომ გადასწყვიტა ქართულ ენის გაკვეთილების მომატება. აქამდე ქართულ ენას კვირაში დათმობილი ჰქონდა 2 გაკვეთილი, ამიერიდან მეხუთე კლასამდე იქნება 4 გაკვეთილი, ხოლო ამ კლასიდან კურსის დასრულებამდე 3 გაკვეთილი. როგორც დანამდვილებით გავიგეთ, საკომერციო სასწავლებლის დირექტორს შუამდგომლობა აღუძრავს ფინანსთა მინისტრის წინაშე, რომ მოსწავლეთ სწავლის ფული არ ერთმეოდეთ.

◆ ტფილისის **სათავად-აზნაურო სასწავლებელს** წელს ამთავრებს 18 კაცი. ამ მოსწავლეთა ერთი ჯგუფი ეგზამენებს დაიჭერს ტფილისის საშუალო სასწავლებლებში და სწავლას რუსეთის უნივერსიტეტებში განაგრძობს, მეორე ჯგუფი გაემგზავრება საზღვარ-გარედ.

◆ როგორც გვატყობინებენ, **შავი-ქვის მწარმოებელთ** მაისისთვის მოუთხოვნიათ მარგანეცის დასატვირთად ცხრაასი ვაგონი.

◆ თიანეთის მაზრის უფროსმა და თიანეთის სამაზრო სამხედრო საკრებულომ სთხოვეს ტფილისის გუბერნატორს, შუამდგომლობა აღძრას კავკასიის ნამესტნიკის წინაშე, რომ **თიანეთის მაზრიდან სალდათებს,** ფშაველებს, თუშებს და ხევსურებს, არ ჰგზავნიდნენ რუსეთში.

◆ როგორც შორაპნიდან გვწერენ, მარგანეცის მუშები და რკინის გზის მუშები 1 მაისს საღამოთი **გავიდნენ სამუშაოთ.**

◆ გუშინ, 2 მაისს, როდესაც **ტვამვაის მოქმედება განახლდა,** მოსამსახურეებს მოერთოთ ვაგონი ყვავილთა ხვეულებით და, გამარჯვების ნიშნად, „ურა“-ს ძახილით გაიარეს ქუჩები. ამავე მორიგების ნიშნად უსახელო საზოგადოების წარმომადგენლებმა და მოსამსახურეებმა საერთო სურათი გადაიღეს.

◆ დღეს, 3 მაისს, რკინის გზის უფროსი ინჟ. ივანოვსკი მიდის ბალაჯარაში **ნამესტნიკის თავად ვორონცოვ-დაშკოვის შესახვედრად.** მას თან მიჰყვება რკინის გზის მოძრაობის უფროსი გ. ე. ბერნი.

◆ ს. სუხჩე (სენაკის მაზრა). 1 აპრილს თავ. დათა ჩიქოვანის შინ არ ყოფნის დროს გადასწვეს იმის სახლ-კარი. ზარალი 3000 მანეთამდეა. გლეხობა ძალიან წინააღმდეგია აგრესიულ მოქმედებისა და ამიტომ ჩიქოვანის სახლის დაწვასაც არ თანაუგრძნობს. გლეხობა ამბობს: დათა ჩიქოვანი დამნაშავეა, რადგან არ დაიფიცა (როგორც სხვაგან, ისე ჩვენში სოფლელებს აფიცებენ, რომ არ უღალატონ), მაგრამ სახლი-კი არ უნდა დაეწვათო.

◆ ტფილისის გუბერნიის ქალაქების უძრავ მამულებს შემდეგი **სახელმწიფო გადასახადი** გაეწერა: ტფილისს—164,208 მან. გორს—2660 მან. თელავს—2057 მან; სიღნაღს—2394 მან. დუშეთს—601 მან. ახალციხეს—2840 მან., ახალქალაქს—1413 მან. კოჯორს—1898 მან. სულ 178,000 მან.

◆ 1 მაისს გაემგზავრა რკინის გზით **კავკასიის ნამესტნიკის მისაგებებლად** ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსი ბ-ნი ლინდენი.

◆ 27 აპრილს მოხდა ტფილისელ **დალაქების კრება.** დაადგინეს: დილით, როცა უნდათ, მაშინ გააღონ სადალაქოები, საღამოთი-კი ათ საათზედ უეჭველად უნდა დაკეტონ.

◆ 27 აპრილს, როგორც საგარეჯოდან გვატყობინებენ, ამ სოფლის მცხოვრებნი წასულან თათრების სოფ. დამპალაში, რომ მოელაპარაკნათ თათრებთან **ქურდობის და ავაზაკობის მოსასპობად.** ეს ვიღამაც აცნობა ბოქაულს და დამპალაში შეკრებილ ხალხს მოულოდნელად შამოერტყნენ დრაგუნის სალდათები. ხალხი მშვიდად დაიშალა. ერთს გარეჯელს წაართვეს ბერდანის თოფი.

◆ იაპონიაში ქართველ ტყვე სალდათებისათვის გასაგზავნად ხელოსანმა მიხეილ ხოსრიაშვილმა წერა-კითხვის საზოგადოებას გადასცა შვიდი სხვა-და-სხვა წიგნი.

◆ სად. ნავაგი. 1 მაის, როდესაც მატარებელი № 401 გაჩერდა, უეცრად ცეცხლი აუჩნდა ბამბით დატვირთულ პლატფორმას და დაიწვა. ამ გარემოებამ მიმოსვლა მატარებლებისა ორ საათს შეაჩერა.

◆ თერგის ოლქიდან კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას სთხოვეს 300 ფუთი გოგირდი და შაბიამანი.

◆ 2 მაისს ერთმა ტფილისის მცხოვრებმა ბ. ნეტესოვმა ფული მიიღო ბანკიდან და ფოსტაში მიჰქონდა გასაგზავნად. შესავალ კარებთან ვიღაც გადაეღობა გზაზე და სახეში დაჰკრა. დამრტყმელის ამხანაგი ეძგერა ნეტესოვს, ჯიბეში ხელი ჩაუყო, მოსტაცა 850 მანეთი და გაიქცა. ქურდს გამოუდგნენ ქუჩაში მოსიარულეები და ნეტესოვი და დაიჭირეს.

◆ ტფილისის სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის უფროსმა აგენტმა გუშინ ქალაქის გამგეობას განუცხადა: ტრამვაის ვაგონების მოსამსახურეთა გაფიცვის დროს ტფილისის მეეტლეებს დიდი შემოსავალი ჰქონდათ, მაგრამ მიუხედავად ამისა, არც ერთმა ფული არ შემოიტანა სავალდებულო გადასახადისაო.

◆ უკვე ვწერდით, რომ ვიღაც აზოტოვმა ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობის სახელით მოისურვა ხაზინიდან 8720 მანეთის ყალბად გამოტანა. კასირს ფული მიეცა კიდეც. აზოტოვი მაშინვე გამძვრალა და გადამალულა. სიყალბე ფულის წაღების შემდეგ შეუტყვიათ.

◆ 30 აპრილს სეიდაბათის ქუჩაზედ ადგილობრივს მუშებს ზარგარიანცს, კაზაჯიანცს, მარკოზოვს და გეურქ ბაშლაგოვს ჩხუბი მოუვიდათ. ბაშლაგოვმა რევოლვერით დასჭრა მარკოზოვი და ზარგარიანცი. ბრალდებული გაიქცა და გადიმალა.

ს.ა.დ. განჯა. 1 მაისს, ნაშუადღევის ორ საათზედ, ვაგონების გადამბმელი ვაგონებს შუა მოჰყვა და გაისრისა.

◆ სამი თვე იქნება შესდგა პატარა წრე ახალგაზრდობისა, რომელიც ემზადება და სწავლობს ქართლ-კახურ ძველ გალობას ბ-ნ ალექსანდრე კავსაძის ლოტბარობით. აღდგომის დღიდან მოკიდებული უკვე დაიწყეს გალობა კვირა-უქმე დღეებში ანჩისხატის ტაძარში.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი, 30 აპრილი. საერთო გაფიცვის გამო გადაიდო ხვალინდელი კრებები საურთიერთო კრედიტისა და ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოებებისა.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ ტყიბულის „ნახშირას“ საზოგადოების წევრთა დივიდენდებმა იმატესო, ხმა დადის და ეს საქმე რომ პატარად წარმატების გზას დაადგა, ინჟინერს ალიბეგოვს მიაწერენ, რომელიც ეს ერთი ხანია მართავს ამ საზოგადოების საქმეს. ხოლო თუ ინჟინერი ალიბეგოვი ამ დივიდენდების გასადიდებლად ისეთ სახსრებს ხმარობს, რომელთაც ქვემოდ ჩამოვთვლით, ეგ გზა მრუდე წარმატებად მიგვაჩნია. აი, სამი ფაქტი: 1. თოფურიას საავადმყოფოში მიუყვანიათ „ნახშირას“ საზოგადოების ერთის მუშის ცოლი, თავზე დიდის იარით. თან ალიბეგოვის მიერ ხელმოწერილი ქაღალდიც ყოფილა—მიიღონ ავადმყოფი, უექიმონ და სასყიდელს სრულად მისგან მიიღებენ. ავადმყოფი რომ მორჩენილა, განსვენებულს თოფურიას მრავალ გზის მიუმართავს ინჟ. ალიბეგოვისათვის და ბოლოს, როგორც იყო, გამოცხადებულა საავადმყოფოში ინჟინერი და სამას მანეთის ნაცვლად ორასი შეუძლევია საავადმყოფოსათვის და ისიც ყოველ თვიურად უნდა გამოერიცხოს „ნახშირას“ საზოგადოებაში მუშას, ავადმყოფის ქმარსაო. თოფურია აუშფოთებია ასეთს საქციელს ინჟ. ალიბეგოვისას, სრულიად უარი უთქვამს სასყიდელზე და ინჟ. ალიბეგოვს, ალბად, აქციონერთა დივიდენდისათვის მიუმატნია ის 300 მანათი. 2. ამას წინად რომ გამარცვეს მეარტელე „ნახშირას“ საზოგადოებისა და შვიდასი თუმანი წაიღეს, იმ დღეთავი გაიწირა ერთმა მაღნის დარაჯმა, გვარად პაპიანცმა, და სასიკვდილოდ დაჭრილ იქმნა ავაზაკებისაგან. ეს დარაჯი იმავ თოფურიას საავადმყოფოში მოიყვანეს და რომ ექიმის ნაზარიევის შუამდგომლობა არა, საავადმყოფო არ აპირობდა მიღებას დაჭრილისას, რადგან ალიბეგოვთან ადრინდელი ინციდენტი გაიხსენა. დაჭრილი მოკვდა. ორი დღე ესვენა საავადმყოფოში და რადგან ალიბეგოვს ვერას გზით ვერ აღუძრეს გრძნობა კაცობრიული, საავადმყოფოს ახალმა გამგემ ექ. გერატმა მოუწოდა სომხის მღვდელს და ამან დამარხა თავის ხარჯით. პაპიანცს დარჩა წვრილი ცოლ-შვილი, ხოლო თუ ალიბეგოვმა უკანასკნელი ვალი არ გადაუხადა ისეთს საწყალ მუშას, რომელმაც საზოგადოების ქონების დაცვისათვის გაიწირა თავი, რა იმედი უნდა იყოს, რომ მზრუნველობას გაუწევს საწყლად დარჩენილს ობოლს ოჯახობას... ეს ხარჯს მოითხოვს.... პაების ფასების აწევას უფრო არჩევს... 3. მესამე ფაქტიც: ქარხნის ადმინისტრაციასა და ტყიბულის რკინის გზის მემანქანეთა შორის იმ თავითვე იყო დადგენილი შემდეგი შეთანხმება: მემანქანეთ მუქთად აჰყავდათ საჭიროების დროს რკინის გზის ტყიბულის სადგურიდან მაღნის სადგურამდე ადმინისტრაციის წარმომადგენელნი და ნაცვლად საჭირო ნახშირიც მუქთად ეძლეოდათ ადმინისტრაციისაგან ამ თავაზისათვის. ერთს დღეს ინჟ. ალიბეგოვი ჩასულა ტყიბულს და მიუმართავს ერთის მემანქანისათვის, ამიყვანე მაღნებშიო. ცოტა საქმე გახლავთ, მოვრჩები და ეხლავ აგიყვანო,—უთქვამს მემანქანეს. ინჟინერს არ იამა თურმე ეგ და როცა ამ მემანქანემ აიყვანა, გააფრთხილა ჟანდარმი და იმ დროს წააყენა თავს ხსენებულს მემანქანეს, როცა იგი ნახშირს იღებდა ჩვეულებისამებრ. შეადგინეს ოქმი და განზრახ ქურდობა ბრალდება ისეთს მემანქანეს, რომელიც ყოვლად პატიოსან კაცად არის თურმე ნაცნობი და ყველ საგან პატივცემული.

რუსეთის ქრონიკა

მოსკოვის პედაგოგიური საზოგადოება. პედაგოგიურ საზოგადოების გამგეობას ცნობა მოსვლია სამოსწავლო ოლქის მზრუნველისაგან, რომ დანიშნულია საზოგადოების საქმეების რევიზია. გამგეობამ საპასუხოდ შემდეგი დადგენილება მოახდინა: „გამგეობას, როგორც აღმასრულებელ ორგანოს, უფლება არ აქვს საზოგადო კრების ნებადაურთველად საზოგადოების საქმეები ვისმე უჩვენოს. საზოგადო კრებები კი აკრძალულია სახალხო განათლების მინისტრის მიერ“.

ხალხის წარმომადგენლების მოწვევა. პეტერბურგიდან „ეკო დე პარი“-ს კორესპონდენტი იწერება: „შემიძლია დაბეჯითებით ვსთქვა, რომ მთავრობამ საბოლოოდ გადასწყვიტა სახალხო წარმომადგენლობის ორი პალატის შექმნა. ზემო პალატა იქნება ეხლანდელი სახელმწიფო საბჭო, სადაც ხალხის წარმომადგენლებიც შევლენ; ქვემო პალატაში იქნებიან მხოლოდ ხალხის არჩეულები და სახელად დაერქმევა ამ კრებულს სახელმწიფო სათათბირო. ორივე პალატას სათათბირო დაწესებულების მნიშვნელობა ექმნება. არჩევის წესს ბულიგინის კომისია შეიმუშავებს. მე მაქვს საბუთი ვსთქვა, რომ პალატებს მოიწვევენ 1905 წლის პირველ ოქტომბერს. (რ. ს.)

პეტერბურგის გაზეთებს შემდეგ ამბებს ატყობინებენ ჟიტომირში ებრაელთა აკლების შესახებ. სისხლის ღვრას წინ უძღოდა პროპაგანდა. ორი კვირის წინ ქალაქში ავრცელებდნენ პროკლამაციებს, რომელიც იწვევდა ქრისტიანთ ებრაელების ამოსაწყვეტად. პროკლამაციები შიშს და თავზარს სცემდნენ ჟიტომირის ებრაელებს. ზოგიერთმა ინტელიგენტმა ებრაელმა მიმართა ქალაქის მოურავს თხოვნით, მიიღეთ ღონისძიება, რომ არა მოხდეს-რაო. ადგილობრივ ადმინისტრაციას უთქვამს ქალაქის მოურავისთვის, სულ ტყუილია, არავითარ ყურადღების ღირსი არ არისო.

პრესსა

კვირის № გაზეთ „კავკაზ“-ისა აღსანიშნავია: გაზეთში დაბეჭდილია მეთაური სათაურით „ახალი კურსი“, რომლის შინაარსი სრულიად არ შეეფერება „კავკაზ“-ის აზრებს „ძველის კურსის“ დროს. რას უნდა მივაწეროთ ასეთი ცვლილება, რა მნიშვნელობისა და სიმტკიცის იქნება ეს „ახალი კურსი“—ამას ახლო მომავალი გვიჩვენებს; ეხლა-კი გავაცნოთ მკითხველთ ოფიციალურ გაზეთის აზრი. მეთაურის ავტორს მოჰყავს ვ. ს. კრივენკოს წერილი კავკასიის შესახებ, ეთანხმება მას და მასთან ერთად ამბობს:

> როცა რუსეთის ბატონობა დამყარდა კავკასიაში, მაშინდელმა მთავრობამ პრინციპად აღიარა: „კავკასია—ვეებერთელა ციხეა, რომლის დაპყრობა შეიძლება მხოლოდ ნამდვილის ალყის შემორტყმით“. სამწუხაროდ, დაივიწყდათ, რომ ამ ციხეში მრავალი ათასი მცხოვრებია, რომელთაც სწადიათ სიცოცხლე, ბედნიერება და მშვიდობიანობა. ომზე დახარჯულ აუარებელ საშუალებათა ერთი მეათედი მთავრობას კულტურულ საქმეებისთვის რომ მოეხმარა და კავკასიის მთიულები ქურდებად და ავაზაკებად არ აღეარებია, კავკასია, შესაძლებელია, დღევანდელ მდგომარეობაში არ ჩავარდებოდა.
>
> კავკასია ისეთი არ არის, როგორიც უნდა იყოს იმიტომ რომ ისე არ ვეპყრობოდით, როგორც უნდა მოვპყრობოდით. ჩვენ ძალიან ბევრს ვზარჯავდით კავკასიის ბრძოლაზე და ძალიან ცოტას ვმუშაობდით კულტურის გავრცელებისათვის. და აი შედეგიც: კავკასიის დამშვიდება სიცრუე გამოდგა, თავის თავის მოტყუილება. გამანადგურებელ ძალთა მოქმედებამ იჩინა თავი უკვე მე-80 წლებში. პირველათ ეს გამოიხატა ავაზაკობის გაძლიერებითა და გავრცელებით. ამ ბოროტებასთან ბრძოლა მთავრობამ ძველის წეს-რიგით დაიწყო. პოლიციური ღონისძიებანი, ადმინისტრატიულის წესით გადევნა, საერთო პოლიციურ დარაჯთა მთელის კორპუსის დაწესება—აი საშუალებანი, რომელთაც მიჰმართა მთავრობამ და რომელთაც კავკასიისათვის უნდა მოეგონებინა ერმოლოვის დროის სასტიკი მართვა-გამგეობა. მაგრამ ყველა რეპრესიებს მოულოდნელი შედეგი მოჰყვა: კავკასიის ხალხთა მოძრაობა ჩვენ თვალ-წინ გაიზარდა, გაძლიერდა და ლამის რევოლიუციად გადაიქცეს... აი რა მოჰყვა უნდობლობის სისტემას და ცხადია, რომ ასეთი სისტემა უნდა შეიცვალოს კავკასიის ხალხისადმი ნდობის გამოცხადებით. ამის წინააღმდეგ საბუთად ხშირად ასახელებენ ეგრეთ წოდებულ სეპარატიზმს. მაგრამ კავკასიის სეპარატიზმი დამეტებულ იმპერიალიზმის ნაყოფია და ნამდვილი ჭორია. კავკასიაში მეტად ბევრი სხვა და სხვა ერი ცხოვრობს და ისინი ერთმანეთში ვერ მორიგდებიან. ხოლო რუსეთისაგან განცალკევება კავკასიისათვის საშიშია: შეიძლება ხელში ჩაუვარდეს ოსმალეთსა და სპარსეთს. კავკასიელთ ძალიან კარგად ახსოვთ თავის ქვეყნის ისტორია და არ გასცვლიან რუსებს ოსმალო-სპარსელებზე...
>
> მაშასადამე, მეტი ნდობა კავკასიის ერთადმი—ასეთი უნდა იყოს ჩვენის ახალის პოლიტიკის ლოზუნგი.

წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

წინადაც ხშირად მოგვდიოდა ცნობები, და დღეს, როცა იმერეთის თავად-აზნაურობა საგანგებო კრებისათვის ქუთაისში შეიკრიბა, *) ნათლად გამოირკვა, რომ ქუთაისის გუბერნიის სხვა და სხვა მხარეში თავად-აზნაურებსა და გლეხებს შორის ურთიერთობა მეტად გამწვავებულია: არის მაგალითები იმისა, რომ გლეხობა მემამულე აზნაურებს შესევია, მათ მიწებს დაპატრონებია, ზოგი დაუწვავს, ზოგიც დაუხოცია. თავად-აზნაურობის მრავალი წევრი აცხადებს, რომ ეს სამწუხარო მოვლენა თითქო პირდაპირი შედეგი იყოს სოფლად მოსიარულე ზოგიერთ ინტელიგენტების, განათლებულ უმაწვილების ქადაგებისა, თითქო ესენი ხალხს ეუბნებოდნენ: ნუ დაზოგავთ მემამულე თავადსა და აზნაურებს, დასწვით, დაარბიეთ, დახოცეთ: ესინი თქვენი მტრები არიანო.

ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერნი, დარწმუნებულნი ვართ, რომ შეგნებულ ინტელიგენტებს

---

*) ეს წერილი წაკითხულ იქნა ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებაზე.

თქვენს კეთილის-გამორჩევასა და შაბაშ თქვენსა ეგრეთსა სიმხნესა და მამაცობასა! რა ვყო? თუ გხადოთ შვილად, მამაზე უმეტეს გამოაჩინეთ მოწყალებანი მომგონებლობა, და თუ გიწოდოთ ძმად, არავინ ძმათაგანმან უფრო ძმასა ესე ვითარნი კეთილნი. გარნა თვალნო, რომელ გონება თვალისაგან ნათობს და მეფის ირაკლის ოჯახის ფრთენო; ჭეშმარიტად, თუმცა ჩვენ შვილნი ვახლდით სახატრელს მეფეს, მაგრამ უმეტესი მამობრივი მოწყალება და სიყვარული თქვენთვის არ მოუკლია,—ზოგნი შვილურად, ზოგნი ძმურად და მოხუცებულნი მამობრივის პატივისცემით იზრდებოდით ჩვენს სამეფო პალატში და განსვენებული მეფეც თქვენთვის ზრუნვისაგან არ განისვენებდა. აწე ძმანო, თქვენ უმეტესს მაგიერი აღასრულეთ, რომელ იმის დაცემული ოჯახი ერთის სარწმუნოების მტერთა და უცხო თესლთაგან*) თქვენ სვეტნი ძლიერებისა შეიქმენით და მიზეზნი ჩვენის სამეფოს სახლის აღდგინებისა. მზებრ თქვენ სახელი ყოველსა ქვეყანასა მოჰფინეთ და განსვენებული, თქვენ მიერ საყვარელი მეფეც აღადგინეთ და იმის შვილებსაც თავის-უფლებისა გიხაროდენისა ხმასა გვცემთ. დასაბამითგან ეგ ბატონ-ყმობის სიყვარული არავის ქმნა ვითარ თქვენ. ამისათვის ყოველთაგან ქებულნო პატივით და სასურველად საყვარელნო და მეფის ირაკლის მადლითნო პირმშნო შვილნო და ჩვენნო უსაყვარელესნო ძმანო! თუმცა წერილით გეხმაურებით, მაგრამ ასე მგონია თქვენში გზივარ და პირის-პირ საყვარლად შემოგფრენით და გეხმაურებით; ღმერთმან უმეტესად გადიდოსთ ყოველის სახელის აღმატებით და ჩვენც სიხარულით მაგიერი ასრულება გვღირსებოდეს ღვთით.

შემდგომად ამისა აქაურს ვითარებას იუწყებთ, ღვთის მოწყალებით შაჰზადა მობრძანდა დიდის ჯარებით და ხაზინით გოგჩაზედ და ყაზახის მთაზედ ვაპირებთ მოსვლას ზარბაზნებით, თორმეტის ათასის ქვეითის სარბაზით და ოცდა-ათის ათასის სხვის ჯარით. იქით თმოგვთის ხრიდან კიდევ სარასკირი მოდის დიდის თადარიგით, თოფხანით და სამოცდაათი ათასის კაცით, რომ ნახევარი ჯარი ახალციხის მამულში გადმოვიდა 58); ქვეიდამ კიდევ ერთი შაჰზადა განჯის მხრეს უნდა მოვიდეს ოცდა-ათის ათასის კაცით. დიდრონი თადარიგები არის და აქ რომ სარდალი არის, ამას გუმბრზედ ისტუმრებს შაჰზადა. მაგრამ თქვენის ამბის მაყურებელნი ვართ, როგორც მანდეთგან თქვენი ამბავი მოგვივა, ისე საჩქაროდ გამოვწევთ; რა გვარისაც თქვენ შემოგვითვლით და მოგვწერთ საჩქაროდ, იმისი პასუხი გვეცოდინეთ. სხვა აქაურს თადარიგისა და ჯარების ამბავს ამ წიგნის მომტანნი მოგახსენებენ და რაც ამათ მოგახსენონ, ჩვენი სიტყვა არის და თქვენც ისე მოიქეცით და ღვთის შემწეობით ჩვენი საქმე რიგიანათ წარემართება.“—ბეჭედი მეფის ძის ალექსანდრესი. ქ. „შაჰზადას რაყამი თიანეთზედ გვისტუმრეთ და იქიდამ მოგვივა და ნახამთ.“ 59).

ამ გვარისავე შინაარსის წერილები დაუგზავნა ბატონიშვილმა ალექსანდრემ ქიზიყელებს, ანწუხელებს, ჭარელებს, მანავში ჩერქეზიანთ, საგარეჯოელებს და მათ მეზობლებს, თიანელებს და ფშაველებს. იღვწოდა ბატონიშვილი რათა მოეგო ფშაველის გული და ხატისათვის საჩუქარი გაუგზავნია.

სწორედ ცის ნამივით მოევლინებოდა კახელობას ეს შესანიშნავი და სანაქებოდ დაწერილი უსტარი, ზომიერად და მარჯვედ შეზავებული დიპლომატიის მარილ-პილპილით. ერთი დახედეთ, რა ჭანგს არ აჟღარუნებს დიპლომატი ბატონიშვილი! სანატრელ მეფე ირაკლის მალ-მალ იგონებს, რადგან მარტო სახელი პატარა კახისა ყრუნტელს ჰგვრიდა კახელსა; თქვენს ქველობა-ვაჟკაცობას სპარსეთის აშუღნი და მოშაირენი დამღერიანო; მზებრ თქვენი სახელი ქვეყანას მოჰფინაო; ქება-დიდებით ამკობს და მეფე ირაკლის ოჯახის ფრთად იხსენიებს. მხამახო და გესლიანი კილოთი იგონებს ერთმორწმუნე სტუმარსა და თითქოს დოქტორ რეინეგსის აღზრდილი კი არა, შატობრიანის მოწაფეთ, მელანხოლიურის, გულსაწყვეტილის კილოთი იგონებს დანგრეულ, „დაცემულ“ სამეფოსა და ოჯახს ირაკლისას, რომლის სამეფო სრა-პალატებში აღზრდილან კახელები ზოგნი შვილურად, ზოგნი ძმურად და მოხუცებულნი მამობრივის პატივისცემით.

დაგვამახინჯა უგემურმა სწავლა განათლებამ და დავკარგეთ გრძნობა „კეთილის გამორჩევისა“, შინაური რომ არა ვიცით რა, სხვისას ვეპოტინებით და ქურციკივით ვტუნაობთ სხვისა ნიჭისა და ტალანტის გ გონებაზედ, აი თუ გინდ ტალეირანისა· რა მოსატანია ამ ქლესა დიპლომატის დასნეულებული, უგბილო დიპლომატიური მიწერ-მოწერა ბატონიშვილ ალექსანდრეს გონიერებით სავსე წერილთან შედარებით. ყოველი ფრაზა, ყოველი სიტყვა ლახვარივით გაჰკმირავდა მსმენელსა. მარტო ეს რადა ღირს: საყვარელი მეფის შვილებს „თავისუფლების გიხაროდენის“ ხმა გაგვაგონეთო, ან ეს: თუმცა წერილით გეხმაურებით, მაგრამ ასე მგონია თქვენში გზივარ და პირის-პირ საყვარლად შემოგფრენით, ესე იგი ფარვანასავით თავს გევლებით და გეხმაურებით.

მაშინდელი ქართველი, შაღუდად წამკითხვი ბატონიშვილის უსტარისა, უნებლიედ მოიგონებდა უკვ. განსვენებულს თ. პ. დ. ციციშვილსა და თანამედროვე მთავარ-მართებელს მარკიზ პაულუჩჩის. უცნაური და გაუგებარი იყო მათი ლექსთა კონა, მართალია სურნელოვანი და ლამაზი, მაგრამ რაღაც უცხო სუნი უდიოდა. შტიალი, დატუქსვა, ხამტი, როზგი, ლადატი, ბუნტი, უმადურობა, ხელომკა, კარანტინი, კომანდა, ეგზეკუცია, პროვიანტი, ბეგარა და სხვა, სულ ამისთანები. სადაც მუხრან-ბატონი და გუბერნიის მარშალი თამაზ-ორბელიანი არ დაინდეს და დასტუქსეს, პატარა თავადებს რაღას მოერიდებოდნენ. ძალის გულა და მოქრთამე მოხელე, მეჭაინერე პროკურორი, გადმოსული ჯარის კაცი, ხუპრე, ბრიყვი, დორმუტელა და უღვთო კომისიონერი, გაბერილ-გაბღენძილი უთვისტომო ჩინოსანი, აი ვისა ჰხვდავდა ყოველს ჟამს მაშინდელი ქართველი. სულისა და გულის შემხუთავი ატმოსფერა დაწვა საქართველოს, გააბრუა და, თითქოს მძიმე ლოდიათ, ჯერ დაანარცხა დედამიწაზე და მერე ლაზათიანად მიჭეჭყა. ამისთანა გარემოებაში თითქოს წამალსავით მოქმედებდა ალექსანდრეს პროკლამაცია, მაღალ კილოსა და ჭანგზე დაწერილი და ოცნების მორევში ალივლივებდა გათახსირებულ ქართველსა. წარსული ხომ ჯერ რეალური ფაქტი იყო, ის წარსული, როდესაც ქართველიც ნამუსიანად ქუდს ატარებდა და ვახტერების საქორდავად არ გამხდარიყო.

ზემოთ გაკვრით მოვიხსენიეთ და ხელ-ახლა ვიტყვით, რომ მარკიზ პაულუჩჩი თვალს არ აშორებდა ბატონიშვილ ალექსანდრეს. ვინ იცის, რა ჯილდოს არ გაიღებდა მთავარ მართებელი, ოღონდ კი ალექსანდრე გათოკილი ენახა, მაგრამ არ იქნა, ვერ დაიჭირა ავტორი „ცეცხლის მომდებ წერილებისა“.60). რომ ვერა გააწყორა და ვერ შეიპყრო მაშფოთარი, მარკიზმა გული გაიკეთა და დამშვიდებული კილოთი მოახსენა უქვეშევრდომილესად იმპერატორ ალექსანდრე I-ს—არა ღირს ბატონიშვილის დასაჭერად განსაკუთრებულის ღონის ძიების მიღება, თავისთავად რა ფასი აქვს ბატონიშვილს, ჩვენ თუ არ გავაზვიადებთ მის ძალა-მნიშვნელობასაო.

ა. ფრონელი.

---

*) ესე იგი რუსებისაგან. სარწმუნოების ერთგვარობას დიდად ვაფასებდით და ვებლაუპებოდით. ალექსანდრეს წერილი გვიჩვენებს, რომ მაშინდელ ქართველობას მალე შეუგნია, რაშვილიცა ყო[illegible] ქებული ერთსარწმუნოება.

55) იხ. Акты, т. IV, გვ. 761. утв· т. П, გვ. 297.

56) მასალები... გვ. 117.

57.) გვარსა და სახელს სხვა, უფრო მოხერხებულ დროს, მოგახსენებთ.

58.) შაჰზადა—შაჰის შვილი, ტახტის მემკვიდრე. გოგჩას მოსული შაჰზადა აბას-მირზაა, სარბაზი ინგლისელების მიერ გაწრთვნილი რეგულიარული ჯარია. ბატონიშვილი დავით სარბაზს სარბაზად იხსენიებს. სარასკირი—ყარსის ფაშა იგულისხმება. პირობისამებრ სარასკირი და ახალციხის ფაშა ბორჯომის ხეობით, ან თრიალეთით უნდა შემოსეოდნენ საქართველოს რუსის მხედრობის ამოსაწყვეტად, სპარსელები—განჯიდან. თვით ალექსანდრე ქართლში უნდა შემოპარულიყო და აეჯანყებინა ქვეყანა. შემოიპარა კიდეც და ომი გაუმართა რუსობას, მაგრამ მოკავშირეთ რაღაც კინკლაობა მოუვიდათ, უღალატეს ალექსანდრეს და მარტოდ-მარტო დასტოვეს. წერილში მოხსენებული ხაზინა, თოფხანა, ზარბაზნები სულ ინგლისელებისაა. რაყამი ფირმანია.

59.) Акты, ტ. V, გვ. 355,356.

60.) დედანში: зажигательныя письма.

არაფერი საერთო არა აქვთ იმ პირებთან, რომელნიც მოძმეებს შორის შურსა და მტრობას სთესენ. თუ რომ ერთობა და კეთილგანწყობილებაა საჭირო რომელისამე ხალხისთვის, განსაკუთრებით საჭიროა იგი ჩვენს მდგომარეობაში მყოფთათვის. ჩვენს ქვეყანას ათასი გასაჭირი აწუხებს, და ცხოვრების გასაუმჯობესებლად ძალების დაქსაქსვა კი არა, შეერთებაა საჭირო, რადგან მხოლოდ შეერთებულის ძალითა და ძმურის თანხმობით შეიძლება დღევანდელ ცხოვრების აუტანელ პირობათა შეცვლა და საკეთილდღეოდ განახლება. აზნაური და გლეხი, ძმურად ხელჩაკიდებული, დღეს ერთის დიდის მიზნისაკენ უნდა მიისწრაფოდეს, და იმერეთის თავად-აზნაურობამ, ისე, როგორც ამერეთისამ, საგანგებო კრებაზე დადგენილ გადაწყვეტილებით, თავის ადრესებში გამოთქმულის აზრით, ცხადად დაამტკიცეს, რომ ისინი გლეხებთან ერთად ქვეყნის საერთო მიზნითა და მისწრაფებით არიან გამსჭვალულნი.

კარგად დავუკვირდეთ, რას აცხადებს საქართველოს თავად-აზნაურობა თავის ადრესებში. ის ეუბნება უმაღლეს მთავრობას: ჩვენის ქვეყნისათვის აუცილებლად საჭიროა იმისთანა წესწყობილება, რომ ჩვენის ხალხის კანონები თვით ამ ხალხის მიერ იქნეს შემუშავებული და დადგენილი, ჩვენი ქვეყანა იმ პირებმა უნდა მართონ, რომელნიც მთელი ერისაგან იქნებიან არჩეულნი, განურჩევლად წოდებისა, როგორც გლეხების, ისე აზნაურებისაგან, საყოველთაო, თანასწორის არჩევანითა. ნუ თუ თავად-აზნაურობის ამ მოთხოვნაში არ იხატება ის აზრი, რომ ის უარ-ჰყოფს თავის უოველგვარ უპირატესობას და გულით სწადია—მოუპოვოს ქვეყანას თანასწორობა და სამართლიანობა?! გლეხობამაც ხომ ესევე წადილი გამოაცხადა როგორც დასავლეთში, ისე აღმოსავლეთშიც, და, მაშასადამე, რა არის მათ შორის სამტრო და სასისხლო?!

დღეს დღეობით ერთად-ერთი სადავო საგანი მემამულეთა და მიწის მუშათა შორის—მიწის დალაა; მაგრამ ჩვენ გვჯერა, რომ ეს უთანხმოება ადვილად გასწორდება სხვა უფრო მშვიდობიანის გზით: ამისთვის სრულიად საჭირო არ არის ერთმანეთის მისევა და წვა-დაგვა.

დარწმუნებულნი ვართ, ჩვენის წერილის დედა აზრი სრულიად არ ეწინააღმდეგება ჩვენის პრესის მიმართულებას, და ამიტომ მივმართავთ ჩვენის გაზეთების რედაქციებს თხოვნით—გაავრცელონ ეს ჩვენი წერილი თავის ორგანოების საშუალებით და მას თავისი აზრიც, თავისი გავლენიანი სიტყვაც დასძინონ ამ საგნის შესახებ; მოიწვიონ გლეხნი და აზნაურნი, რათა ძმურად შეკავშირდნენ ჩვენის ქვეყნის საჭირ-ბოროტო კითხვების გადასაწყვეტად, ხოლო საადგილ-მამულო პირობანი, ადგილების ბაჟისა და დალის შესახებ, ურთიერთ შორის დროებით, სანამ თავისუფალ ერის წარმომადგენელნი ამ საკითხს შესაფერის კანონმდებლობით გადასწყვეტდნენ,—ერთმანეთთან მშვიდობიან შეთანხმებით ან მედიატორულ წესით მოაწყეს-რიგონ.

აგრეთვე ღრმად დარწმუნებულნი ვართ, რომ ის პირნი, რომელთაც გლეხებთან მოლაპარაკება ჰქონიათ და მათი ნდობა მოუპოვებიათ, შეაგონებენ მათ, წერილობითაც და სიტყვიერადაც, რომ მოძმეებს შორის ძალმომრეობის ხმარება, სისხლის ღვრა, გადაწვა და ერთმანეთის ჟლეტა ჩვენს უამისოდაც დაბეჩავებულს ქვეყანას მხოლოდ ვნებას მოუტანს და არა სარგებლობას. ჩვენ გვჯერა, რომ ერის ერთგული მამულიშვილები, შეგნებული პარტიები არ იქმნებიან მომხრე ძმების გადამტერებისა და ერთმანეთის წყვა-ჟლეტით ხალხის ძალ-ღონის შესუსტებისა.

უმორჩილესად ვსთხოვთ ქართულ გაზეთების რედაქციებს—გადაბეჭდონ ეს ჩვენი წერილი თავის ორგანოებში.

ი. ბაქრაძე (მე წინააღმდეგი ვარ მხოლოდ წართმევის, დაწვის და მოკვლისა), ს. თ. ხუნდაძე, დ. ჭუბაბრია, ვ. დ. გაბიჩვაძე, პ. თუმანიშვილი, ილ. ჩიქოვანი, თეოფ. ხუსკივაძე, იაკობ ჩიმაკაძე, ალექ. დუდაძე, ალექსანდრე ლორთქიფანიძე, იოსებ ტატიშვილი, ილია პავლეს ძე კაკაბაძე, ვასილ დოდაშვილი, სპირიდონ მატარაძე, ფრიდონ წერეთელი, გიორგი ალექსის ძე მდივანი, კორნელი ლუკას ძე მაღრაძე, კოტე ნ. ჩაჩავა. დ. ს. მესხი, ვ. ი. ბეჟანეიშვილი, ნ. კ. მარჯანიშვილი, ნოე უზნაძე, კოტატი მუმლაძე, გალაქტიონ თუთბერიძე: რაფ. კანდელაკი, პ. მოსიძე, ალექსანდრე ჩხეტია, ტერენტი გველესიანი, კირ. ბეჟ. ლორთქიფანიძე, გიორგი ნესტორ. ალშიბაია, ივანე ოტიას ძე ქაჯაია, ერასტი თუთბერიძე, კალისტრატე ჩიკვაიძე, ალექსანდრე დადეშქელიანი, ვასილ პეტრიაშვილი, ოთარ დადეშქელიანი, დავით ნიკოს ძე ავალიანი, სიმონ მიქელაძე, მინა ნიჟარაძე, ალექსანდრე ნიჟარაძე, მიხაილ მღვდლიშვილი, კონსტანტინე გოცირიძე, ივანე დავიდოვი, ონისიმე სვანიძე, დ. გ. წულუკიძე, ს. ა. მიქელაძე, ს. გ. თაყაიშვილი, ი. პურადიშვილი, ალ. დ. თუმანიშვილი, ალ. მიხ. კრინიცკი, მოსე ქიქოძე, სამსონ ყიფიანი, ნესტორ ფურცელაძე, ქოსტანტინე ლორთქიფანიძე, ს. ი. რობაქიძე, ს. ლოლობერიძე, ნ. დგებუაძე, ა. ფიჩხაია, მ. დადიანი, ვ. ს. აბულაძე, თეოფ. შველიძე, მიხო ლოლიძე, მიტროფანე ლაღიძე, ანდრო იორდანოვი, ბეგლარ ასათიანი, სიმონ ქვარიანი, კოწია დარახველიძე, ეგნატე გაბლიანი, იასონ ნიჟარაძე, იასონ ნიკოლაიშვილი, ი. ოცხელი, ს. ოცხელი, ა. საყვარელიძე, გრ. გველესიანი, ს. ჯაფარიძე, ხ. ფაჩულია, პ. თვალჭრელიძე, რ. დათეშიძე, იოსებ ჭილაძე, ვ. ჩაჩიბაია, ა. ხაბურძანია, გ. აკოფაშვილი, ი. ანდრონიკაშვილი, დ. ნაზაროვი, სტ. პ. ხოჯივანოვი, ს. სოხაძე, ბ. მამფორია, თ. მეგრელიშვილი, ი. მიქაძე, ნ. თავდგირიძე, სიმ. წერეთელი, ბერეკაშვილი, კოსტ. დიმ. ბაქრაძე, ილ. ანჯაფარიძე, ბესარიონ ლომინაძე, თომა მთავრიშვილი, ნიკოლოზ მესხი, ვასილ ქორქაშვილი, გიორგი ახვლედიანი, ზაქარია, კოს. მაჭავარიანი, დ. ა. ლორთქიფანიძე, გრ. ს. ბარათაშვილი, დავ. ბესარ. მდივანი. *)

II

უმორჩილესად გთხოვთ, ადგილი დაუთმოთ ამ წერილს თქვენს პატივცემულ გაზეთ „ცნობის ფურცელში". ჩვენ, სოფელ ცხრა მუხაში (ზემო ქართლი) მცხოვრებმა გლეხობამ, მოვახდინეთ ყრილობა და დავდეთ პირობის წერილი, რომ დღეის შემდეგ სამუდამოდ მოვსპოთ ყრუ დროიდან მიღებული ჩვეულება და აღარ გადავიხადოთ დღეობა „ივანობა", რომელსაც უზომო ხარჯთან ერთად ხშირად დიდი უსიამოვნება მოსდევს. ამით ვაცნობებთ მეგობრებსა და ნაცნობებს, რომ დღეის შემდეგ ნუღარ გვეწვევიან. აქ ისიც უნდა მოვიხსენიოთ, რომ ვინც ჩვენთაგანი ამ „დღეობაზე" სტუმრებს მიიწვევს, ჯარიმად ხუთი თუმანი გადახდება სოფლის სასარგებლოდ.

ყრილობის მონდობილებით: **სიმონ ბაბლიძე, ვანო ცერცვაძე, პავლე ბირკაძე, არჩილ ლონლაძე.**

---

*) სულ ხელი უწერია 104 კაცს.

ღამის დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

2 მაისი.

პეტერბურგი. 1 მაისს ოფიციალური ცნობები არ მოსულა შორეულ-აღმოსავლეთიდან.

პარიზი, 1 მაისი. მივიდა მიკადოს ძმა პრინცი არისუგავა და ჩამოხტა „ბრისტოლ"-ის სასტუმროში. 15 დღის შემდეგ ის ლონდონში წავა და, იქიდან ბერლინისაკენ გაემგზავრება, რათა კრონპრინცის კორწილზე დაესწროს, როგორც მიკადოს წარმომადგენელი.

ბუნჩულინი, 1 მაისი. 30 აპრილს მონგოლიის საზღვრის გასწვრივ შეამჩნიეს ხუნხუზების მოძრაობა; ეს ხუნხუზები რეგულიარულ ჯარს მოგაგონებთ. ხუნხუზებივე სცავდნენ მდ. ლაილიაოხეზე გადასასვლელ ადგილებს. ამგვარ მდგომარეობას ხუნხუზების რაზმებისას, რომელნიც ფარდასებრ ჩამოფარებიან ნეიტრალურ ქვეყანას, შეუძლიან ხელი შეუწყოს იაპონელებს ფარულად გამართონ საწყობები, თუ ისინი მოისურვებენ შემოუარონ ჩვენს მარჯვენა ფრთას ისეთივე სისწრაფით, როგორც ეს მუკდენთან მოხდა. ეს მათი სურვილი საკმაოდ ირკვევა ახლაც და, თუმცა იგი ძნელი შესასრულებელია, მაგრამ მომავალ ოპერაციების ცენტრი თითქმის ეჭვს გარეშეა, რომ ისევ მარჯვენა ფრთაზე იქნება.

ტოკიო (ბერლინის გზით). აქ მოსული ორთქლ-მავალი გემი იუწყება, 29 აპრილს ხონკოეს ბუხტაში ბალტიის ესკადრის 7 სამხედრო გემი და სხვა გემებიც ვნახეო. ჰფიქრობენ, რომ როჟესტვენსკი და ნებოგატოვი ჯერ არ შეერთებულან კიდევო.

პარიზი. ტურანიდან მოსულმა ორთქლმავალმა გემმა ანამის სანაპიროსთან, ტონკინის ყურეში, ხაინანის სამხრეთით, დაინახა 14 მძიმედ დატვირთული ტრანსპორტი, რომელთაც რუსის სამხედრო გემები მიყვებოდათ კანვოის ადგილზე. იმავე გემს დაუნახავს რუსის ესკადრის მეტი წილი, ჩრდილოეთისკენ მიმავალი.

შანხაი. ბევრი გემი, რომელნიც რუსების საკუთრებათ ითვლებიან, მაგრამ გერმანიისა და საფრანგეთის ბაირაღებს ატარებენ, უკანასკნელ დღეებში სამხრეთის პორტებში წავიდნენ. ორთქლ-მავალ გემს „ჩანგ"-ს „ციცილ"-ი უწოდეს; მან გერმანიის ბაირაღი გაშალა და თან წაიყვანა გერმანელების ჟურნალის კორესპონდენტი და სპეციალისტი საკაბელო საქმეებში; ხმებია, ამ უკანასკნელის წასვლას კავშირი აქვს იაპონიის სამხრეთით კაბელის გადაჭრის განზრახვასთანაო. ყურის საგდებლად იაპონიის კრეისერი გაგზავნეს. რუსები სცდილობენ ლოცმანი იშოვონ გაინტანის სრუტისთვის, რომელზედაც გადადის კაბელი ფორმოზაზე.

ტოკიო, იაპონიიდან 400 წყლის ქვეშ მოსიარულე გაგზავნეს პორტ-არტურს, საცა 200 გემი უნახავთ ჩაძირული.—აი სრული სია რუს-ტყვებისა იაპონიაში: 10 გენერალი, 70 პოლკოვნიკი და პოდპოლკოვნიკი, 884 ობერ-აფიცერი, 8558 უნტერ-აფიცერი და 50769 უბრალო ჯარის-კაცი, სულ კი 60291 კაცი.

პეტერბურგი. დღეს გამართულ მესამე მოგებიან სესხის ტირაჟის დროს უმთავრესი მოგება შემდეგ ბილეთებს ხვდა: 200 ათასი—777/49; 75 ათასი—15231/47; 40 ათასი—673/11; 25 ათასი—4971/23; ათი ათასი—12541/38, 7574/21, და 10106/12; 8 ათასი—14664/42, 6791/20, 8866/37, 10448/15, 9134/20; 5 ათასი—172/41, 11341/7, 8784/1, 7130/29, 8700/49, 2308/21, 4765/30, 13895/27; ათასი—1841/36, 1011/4, 6108/50, 5251/36, 11464/35, 15647/41, 15477/26, 13690 12, 4666/9, 9862/40, 5676/9, 5804/10, 9199/9, 4154/34, 3779/2, 13620/42, 9295/9, 14402/46, 7424/29, 6351/7 და 3974/32.

რომი. გაზეთ „მოსაჯერო"-მ გამოაქვეყნა დეპეშა ბუხარესტიდან, რომელიც იუწყება, რუმინიის მთავრობამ ძლიერ ენერგიული ნოტა წარუდგინა ოსმალეთს და ითხოვს, ოსმალეთში მცხოვრებ რუმინებში მათი ხალხოსნობა სცნოთო. ნოტაში 10 მაისი აქვთ პასუხისთვის ვადათ დადებული; ამასთან ისინი დასძენენ, თუ ეს ნოტა ვერ მიიღეთ ანა და თუ ცუდი პასუხი გამოგვიგზავნეთ, მაშინ რუმინია შესწყვეტს დიპლომატიურ მიწერ-მოწერას ოსმალეთთანო.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"

2 მაისი

ბერნი, 1 მაისი. იაპონიამ აცნობა აქაურ საერთაშორისო საფოსტო ბიუროს, კორეის საფოსტო და სატელეგრაფო გამყოფილება ჩვენს ხელში გადმოვიდაო. ამგვარად იაპონია განაგრძობს კორეის დაფლობას ყველა სახელმწიფოების თვალ წინ და არც ერთი მათგანი არ უწევს წინააღმდეგობას.

ჰონკონგი, 2 მაისი. შანტუნის ნახევარ კუნძულის სამხრეთ-აღმოსავლეთით შეამჩნიეს ღუზაზე მდგომი იაპონიის კრეისერი. ხაინანის კუნძულზე მოვიდა ჩინელების უმაღლესი მოხელე, რადგანაც უცნობებიათ, რომ კუნძულთან ახლოს ბალტიის ესკადრა დგასო.

საიგონი, 1 მაისი. ინგლისის გემი „კარლაილ"-ი მდინარე რუ...ში შევიდა, განაცხადა რა, რომ მას საქონელი მიაქვს. გასინჯეს გემი და საომარი სურსათი კი აღმოაჩნდა. გემს საპორტო კანონირკა მიუჩინეს მცველად.

ჩანტუფუ, 1 მაისი. გარნიზონი ძლიერდება, წინ სიმაგრეებს აგებენ, მუშაობენ ჩინელები, თვალ-ყურს ადევნებენ ჩინელი სალდათები, რომელთაც რეგულიარული ჯარის ტანისამოსი აცვიათ. ჩანტუფუ—სიფანტაისკენ იაპონიის გარნიზონები ძლიერდება. გენ. მიშჩენკომ მოიკეთა.

ვოლოსკა, 1 მაისი (აბაციის ახლო). შესდგა სლავიანთა ჟურნალისტების საერთო სიეზდი. თავმჯდომარეობდა ლიუბლინის ქალაქის თავი გრიბარი, რომელმაც თავის სიტყვაში, სხვათა შორის, მიუთითა დამეწრეთ რუსთა და პოლონელთა დაახლოვებაზე და იმედი გამოსთქვა, რომ ეს დაახლოვება ჩქარა ფაქტად გარდაიქცევაო.

ცარიცინი, 2 მაისი. სარატოვის სამოსამართლო პალატის სესიამ 29 აპრილს განიხილა პოლიტიკურ დამნაშავე მუშების პრონინისა და იაკოვლევის საქმე და გადაუწყვიტა პრონინს 4 თვის ციხე, იაკოვლევი-კი გაამართლა.

კიშინევი, 1 მაისი. რუსის ნოქრებმა მშვიდობით ჩამოაგდეს ცენტრალურ ქუჩაზე და რუსის მაღაზიების დაკეტვა მოითხოვეს. მათ შეუერთდენ მცხოვრებლების ჯგუფიც და ყველანი გაემართნენ სინადინოვის ქუჩისკენ. ებრაელებმა დაუყოვნებლივ დახურეს მაღაზიები. პოლიციამ შესწყვიტა ბრბოს მოძრაობა. მცხოვრებლები ძლიერს შიშში არიან.

პარიზი, 2 მაისი. დაარსდა ევროპისა და ამერიკის სწავლულ მწერალთა, მხატვართა, პოლიტიკურ მოღვაწეთა და იურისტთა საზოგადოება, რომელსაც სახელად დაერქვა: „საერთაშორისო შეთანხმებით ნაციონალურ ინტერესების დამცველი კავშირი". წარმომადგენლებათ შემდეგნი იყვნენ: საფრანგეთისაგან ბერტელი ბურჟუა და დესტურნელი, გერმანიისა გეკკელი, რუსეთისა-ბარონი შტაალი, ნორვეგიისა—ფრიტიოფ ნანსენი და შვეციისა ლაგერჰეიმი.

ეკატერინოსლავი, 1 მაისი. პროსპექტზე საღამოს ექვს საათზე რევოლვერის ხუთი ტყვიით დასჭრეს ბოქაული შიშკო. მისი სიცოცხლე საშიშ მდგომარეობაშია. დამნაშავე რომელმაც თავის თავს აზნაური ტახჩემლო უწოდა, დაიჭირეს.

პეტერბურგი, 2 მაისი. კუშინ მხოლოდ ერთ ბაღში, სადაც ჩვეულებრივ მუშები იკრიბებიან, მანიფესტაციის მოხდენა სცადეს. პოლიციამ 50 მანიფესტანტი დაატუსაღა. წესიერება სწრაფად იქნა აღდგენილი.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ვ. ჯაბადარი**

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა
18 აპრილიდან.

ცრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № (20 მარტო სამშაბათობით) საღამოს 4 ს. 59 წ. (5 ს. 57 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 29 წ. (8 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ბათუმს: 1) სწრაფი № 1 ღამის 10 ს. (10 ს. 58 წ.) 2) საფოსტო № 3 დილის 11 ს. 28 წ. (12 ს. 26 წ.) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ., (7 ს. 27 წ.).

ერივანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 28 წ. (3 ს. 26 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 10 ს. 43 წ. (11 ს. 41 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.); 4) საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 33 წ. (11 ს. 31 წ.).

ერივან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 28 წ. (4 ს. 26 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუაღამევის 1 ს. 18 წ. (2 ს. 16 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 33 წ. (5 ს. 31 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 38 წ. (1 ს. 36 წ.); 4) საქ.სამგზ. № 17 დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღ. 9 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.) 2) საფოსტო № 4 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 9 წ. (11 ს. 7 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) დილის 9 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.) და 3) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 4 ს. (4 ს. 58 წ.); 2) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.); 3) საღამოს 7 ს. 22 ს. (8 ს. 20 წ.).

ტყიბულისაკენ: ნაშუადღევის 1 ს. 20 წ. (2 ს. 18 წ.).

განცხადებანი

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»

კიოსკში

ლორის-მელვის ქუჩა, იქოალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი.	— 10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—50
ბნელი, მოთხრობა—მელანიასი	— 20
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1 1
II და III ტომი თითო	1 —
ი, ჭავჭავაძის I ტომი	— 70
იგივე II და III ტომი თითო	— 60
იგივე IV ტ. ორ წიგნად	— 80
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა	— 10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	— 40
აკაკი წერეთლის I და II ტ. თითო	— 60
რაფ. ერისთავის I ტომი	— 60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	— 20
აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა	— 55
სიბრძნე ბალავარისა	— 30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	— 10
დვინის დაყენება, პროფ. გ. პეტრიაშვილისა	1 50
რძე, მისივე	1 50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიხ სენკევიჩისა	— 80
დასტურ-ლამა	— 20
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	— 25
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	— 20
ხენთი რაფფისა, თარგ. სომხურიდან კ. ევანგულოვისა	1 —

პირველი საწყობი

შეშისა

✦ პ. ი. ქურცხალიასი ✦

ანდრეევის ქუჩა, დამოკნის პირდაპირ. საკუთარის ტყიდან მიღებულია დიდ-ძალი შეშა ყოველგვარ ღირებისა, რცხილისა, წიფლისა, მუხისა, რთხმელისა და სხვა მუხის დიდი ბოძები. შეშის სახლში მიტანას ფირმა საკუთარ პავოზკებით კისრულობს. შეშა იყიდება საჟენობითაც და ფუთობითაც. მყიდველს ნება აქვს შეშის ჩაჟენი თავის თვალ წინ დაადგმევინოს, რადგანაც მყიდველები ბევრჯელ სტყუვდებიან დადებულ საჟენებიდან. მეორე განყოფილება იმყოფება ვერის ხიდის ყურთან.

(90—46) გამგე ნიკოლოზ პავლეს ძე კიკნაძე



СѢДЕЛЬН.
СПЕЦІЯЛЬН.

Безъ конкуренціи продаются всевозможн. сѣдла. მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, საზაფხულო სობრანიეს ახლოს. (ჶ—365—221)

ფეხსაცმელი

ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,

მკვიდრი, კოპტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა,

აგრეთვე მსწრაფლ-მავალები და სანდალიები. ყველა ამის შეძენა შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების საუკეთესო მაღაზიებში

ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО

გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ საფაბრიკო ნიშანს

ტყავის საქონელი

რუსეთისა და საზღვარ-გარედ დამზადებული, მრავლად არის

სავაჭრო სახლის

„ლეოპოლდ ნეიშელლერ"-ის საწყობში.

ტელეფონი № 346. ერევნის მოედანი. (60—ნ.—24)

(60—26)